საქართველოში ბიზნესის წარმოების პოტენციალიც დიდია და რისკებიც A2

ყირგიზეთში ლენინი დაამხეს A5

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ხუთშაბათი, 28 აგვისტო, 2003 წელი. №231 (443) ფასი 30 თეთრი

წინასაარჩევნო პოლიტიკური ანგარიშსწორების პირველი რაუნდი

ინგა ალავიძე

წინასაარჩევნო პოლიტიკური შეტევები უკვე დაიწყო. გუშინ პოლიტიკური ანგარიშსწორების პირველი პოლიციური რაუნდი შინაგან საქმეთა სამინისტროში შედგა. შსს-ში რადენიმე საათი გაატარებინეს "ნაციონალური მოძრაობის" წევრს, თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს კობა ბექაურს.

როგორც ჩანს, ბექაურის დაჭერა მას შემდეგ დაიგეგმა, რაც მთავრობის სხდომაზე ბავშვთა უფლებების დამცველმა ქვეყნის პრეზიდენტმა თბილისის საკრებულოს საპირველსექტემბრო აქცია – წიგნების უფასო დარიგება – მკაცრად გააკრიტიკა და აქციის ორგანიზატორებს - "ნაციონალების ლიდერებს" პოლიტიკური სკანდალის მომწყობები და ბავშვთა ჯანმრთელობის დამზარალებლები უწოდა. პრეზიდენტის მკაცრი კრიტიკით ზურგგამაგრებულმა პოლიციელებმა კობა ბექაური, რომელსაც თანამდებობრივად ევალებოდა პარასკევის საქველმოქმედო აქციის ფინანსური უზრუნველყოფა, ბანკში იმ დროს დაიჭირეს, როცა განათლების სამინისტროს ბუღალტერ თინა ქერაშვილისთვის წიგნების შესაძენად საჭირო თანხის გადარიცხვა უნდა ეჩვენებინა. კობა ბექაური შსს-ში მიიყვანეს და მძიმე ბრალდებაც გაჩნდა. იგი ადამიანის იძულებაში დაადანაშაულეს. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ბექაური დაკითხეს და, ამასობაში, შსს-ს შენობის წინ "ნაციონალთა" წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გამოუშვეს. ხოლო საქმე, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით აღიძრა, გამოსაძიებლად თბილისის პროკურატურას გადაეცა. კოდექსში ეს მუხლი შემდეგნაირადაა განმარტებული: "ადამიანისთვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, მისი ფიზიკური ან ფსიქიური იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება". კობა ბექაურისთვის წაყენებული ეს ბრალდება დამაშაულის მძიმე კატეგორიას არ განეკუთვნება. ის ჯარიმას, ერთწლიან გამასწორებელ სამუშაოს ან ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, შს მინისტრის მოადგილემ ზურაბ ხაჟალიამ გვიან ღამით ისიც თქვა, რომ შესაძლოა, ბექაურის დანაშაული ადამიანის გატაცებად დაკვალიფიცირდესო.

"ეს იყო დაგეგმილი პოლიტიკური აქცია, თუმცა მას შემდეგ, რაც დანაშაული ვერ დამიმტკიცეს, გამათავისუფლეს," –განაცხადა შსს-დან გამოსულმა კობა ბექაურმა.

"მათ ბავშვების ჯანმრთელობის დაზიანება სურდათ, ამის უფლებას არავის მივცემთ, თანაც ამისთვის დანაშაულსაც არ მოერიდნენ. ამიტომაც რესპუბლიკის მოედანზე ეს აქცია არ ჩატარდება," – ასეთია განათლების მინისტრის პოზიცია.

პოლიტიკურ ავანსცენაზე გუშინ არ გამოჩენილა შს მინისტრი, იგი ალბათ უკვე დღეს გააკეთებს განცხადებას.

ამინდი

თბილისი	32
ქუთაისი	36
ბათუმი	35
სოხუმი	33
ფოთი	36
თელავი	31
ზუგდიდი	36
გორი	28
ახმეტა	31
ჭიათურა	32

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1375
ევრო	2.3951
გირვანქა სტერლ	3.4322
რუბლი	0.0705

რთული არჩევანი

თამარ მჭედლიშვილი

მიმდინარე კვირის დასასრულს ეუთო-სა და ევროსაბჭოს სპეციალური კომისია ქვეყნის პრეზიდენტს იმ ხუთი კანდიდატის ვინაობას დაუსახელებს, რომლებიც, დიპლომატთა აზრით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სავარძელს ყველაზე მეტად შეეფერებიან. ლივიუ ბოტასა და პლამენ ნიკოლოვს არჩევანის გაკეთება 25 პრეტენდენტს შორის მოუწევთ. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, კანდიდატთა რაოდენობა უახლოეს დღეებში გაიზარდოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

გიორგი ბაბაური

ეუთო-ს ელჩები ჭერჭერობით ღირსეულ კანდიდატს ვერ არჩევენ და დუმილს ამჯობინებენ.

ჩუმად, უკვირუმოდ, უსახელოდ...

ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტი ნელი სიკვდილით, უსახელოდ კვდება. მისი უფლებამოსილების ამოწურვამდე, ფორმალურად, სამ თვეზე მეტი კიდევ არის დარჩენილი, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ საკანონმდებლო ორგანომ თავისი მოღვაწეობა, ფაქტობრივად, დაასრულა.

გიორგი ასანიშვილი

სხვა საქმეა და, ალბათ, ცალკე საუბრის თემაა ის, რომ პარლამენტი ასეთ მდგომარეობამდე კანცელარიიდან მიყენებულმა "ტრავმებმა" უფრო მიიყვანა, ვიდრე თავად საკანონმდებლო ორგანოს არაორგანიზებულობამ - რომ არა აღმასრულებელი ხელისუფლებიდან მიღებული არაოფიციალური მითითებები სხდომების ბოიკოტირების შესახებ, ვინ იცის, ამ პარლამენტის შესახებ საზოგადოებას, შეიძლება, ბევრად უკეთესი მოგონებები დარჩენოდა.

"შევეშვათ თავის მოტყუებას და სექტემბერში შევიკრიბოთ," - მოუწოდებდა გუშინ პარლამენტის ხელმძღვანელობას ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილე ვასილ მაღლაფერიძე. მართლაც, როდესაც სხდომათა დარბაზში სავარძლების დიდი ნაწილი ცარიელია, მუშაობის დაწყებას ცალკეული დეპუტატების შიშველი ენთუზიაზმი ვერ შველის.

"ან ჰიმნი დავუკრათ, ან "შალახო" და სხდომა დავხუროთ," - პარლამენტის უძლურების შემხედვარე, "რექვიემის" შესრულებას ითხოვდა დეპუტატი ლევან თედიაშვილი.

თუმცა, რეგლამენტის გამოისობით, რიგგარეშე სესიასთან "გამოთხოვების" ცერემონია გუშინ მაინც ვერ შედგა. **"სხდომას ვერ ვხსნით და რაც არ გაგვიხსნია, როგორ დავხურავთ? ხოლო თუ სხდომას გავხსნით, მას უკვე ვეღარ დავხურავთ, საკითხების ამოწურვამდე უნდა ვიმუშაოთ,"** - პროცედურული ლაბირინთიდან გამოსვლას ამაოდ ცდილობდა ვერშემდგარი სხდომის წამყვანი გიგი წერეთელი. ის და ნინო ბურჯანაძე ამაოდ მოუწოდებდნენ დეპუტატებს, თუნდაც ერთი საათით მაინც გამოცხადებულიყვნენ სამსახურში და გადაუდებელი კანონპროექტებისთვის მიეცათ ხმა. არც იმის შეპირებამ გაჭრა, რომ სადავო საკითხები, მათ შორის, ბიუჯეტის სეკვესტრი, დღის წესრიგში არ დადგებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

შარა-შარა, ეზო-ეზო, დროშები-დროშები!

მაკა ჯაიანი

თბილისელი მეეზოვეების მიერ გუშინ დედაქალაქის მერიის წინ დანიშნული აქცია არავის ახსოვდა. დილის ათის ნახევრისთვის თბილისის მთავარ ადმინისტრაციულ შენობას საალმსრულებლო დეპარტამენტის თანამშრომლები მიადგნენ და მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 21 მარტის გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს. სამსახურში მისულ მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებს წითელჯვრიანი დროშები ჩამოხსნილი დახვდათ.

გაგრძელება A3 გვერდზე

ვისია სოფელი?!

ცნობილ ჟურნალისტს სანდრო მამასახლისს 70 წელი შეუსრულდა. უფროს თაობას კარგად ემახსოვრება მისი მოღვაწეობა სხვადასხვა გაზეთში თუ ტელევიზიაში. სატელევიზიო გადაცემა "ოქროპირიც" ემახსოვრებათ და ის კახურქუდიანი ოპერატორიც, ყოველი "ოქროპირის" დაწყებისას ტელეანძაზე რომ მიძვრებოდა. ეს სანდრო მამასახლისის ავტოპორტრეტი იყო. მოკლედ, სანდრო უძრაობის დროსაც ახერხებდა "ინტრიგნობას". ახლა სოფელში ცხოვრობს. ათიოდე წლის წინ გადაბარგდა. იქაც არ ისვენებს. მართალია, უნივერსიტეტში და თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლის სტუდენტებს, მაგრამ უფრო დიდ აუდიტორიას ეძებს და ჩვენს გაზეთში გაუძღვება რუბრიკას "ვისია სოფელი?!" ისე, ცოტა ახირებული და ჯიუტი კაცია. დროდადრო შეიძლება ბევრ რამეში შეეკამათოთ. ასეთ შემთხვევაში, დიდი სიამოვნებით დაგითმობთ გაზეთის ფურცლებს.

სანდრო მამასახლისი

ყველაზე ლამაზი ქართული სიმღერა, ზღაპარი, თქმულება გლეხსა და სოფელზეა...

ჩვენი მსოფლმხედველობა, ფილოსოფია, თვით სიცოცხლის არსი სოფლით იზომებოდა და სოფლით ისაზღვრებოდა...

დღეს კი გლეხი, სოფლელი ლამის საგინებელი სიტყვებია; როცა გვსურს, ვინმე დავამციროთ, ან შეურაცხყოფა მივაყენოთ, გლეხს, ან სოფლელს ვუწოდებთ ხოლმე...

არ იფიქროთ, თითქოს სიტყვათა ეს მეტამორფოზა მარტოოდენ შინაარსობრივი ცვლილებაა და სინამდვილეში ყველაფერი ძველებურადაა - გლეხსა და სოფელს ჩვენს ცხოვრებაში კვლავაც თავ-თავისი ადგილი უკავიათ...

სოფლის მაღალი რეპუტაციის კატასტროფული ნგრევა, მისი ასეთი უღმერთო დაკნინება, რა თქმა უნდა, ზემოდან დაგეგმილი და გეგმაზომიერად განხორციელებული იყო...

გაგრძელება A4 გვერდზე



"ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, თქვენ საერთოდ არ იქნებოდით!"

ასეთია პრეზიდენტის არგუმენტი ევროკავშირში გასაწევრიანებლად

ლელა მჭედლიძე

პრეზიდენტმა ევროკავშირში გასაწევრიანებლად არგუმენტი იპოვა, დმანისში აღმოჩენილი ყბის ძვლის სახით, რომლითაც პირველი ევროპელის კვალის არსებობა სწორედ ჩვენს ტერიტორიაზე დასტურდება.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ამ აღმოჩენის მნიშვნელობის, "დმანისსა და მის მიდამოებში ინტერდისციპლინარული კვლევის" შესახებ ინფორმაცია მოისმინა, დაასკვნა, რომ ამ აღმოჩენას, რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და შემდგომი კვლევის თუ მუზეუმის დასაფინანსებლად თანხები მართლაც უნდა გამოიძებნოს. **"როდესაც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ დაიწყება საუბარი, ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ: ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, თქვენ საერთოდ არ იქნებოდით,"** - ამბობს პრეზიდენტი, მაგრამ საეჭვოა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის ქართველების უდიდესი დემოგრაფიული ღვაწლი არგუმენტად გამოდგეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

BP-ს ახალი მომჩივანი გამოუჩნდა

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებელ კომპანიას "ბრითიშ პეტროლიუმს" (BP) შესაძლოა, თავის მართლება სასამართლოში მოუწიოს. საქართველოს ნაპირდაცვითი სამსახური ბრიტანელ ინვესტორს კანონმდებლობის დარღვევასა და მშენებარე მილსადენის პროექტის მასთან შეუთანხმებლობაში ადანაშაულებს.

ეთერ მამულაშვილი

ნავთობსადენმა საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო ზომის, დაახლოებით, ორასამდე მდინარე უნდა გადაკვეთოს.

2000 წელს პარლამენტის მიერ მიღებული "საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ" კანონი, სანაპირო ზონის მკაცრი ზედამხედველობის ზოლში ახალი მშენებლობის დაწყებას კრძალავს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტს ეხება. ამ ობიექტთა ნუსხას ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო ადგენს, რომელთა შორის, ბუნებრივია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიც არის შესული. ასეთი პრივილეგიის მიუხედავადაც კი, ხსენებული კანონის მეცხრე მუხლი მშენებელ კომპანიას ცალსახად ავალდებულებს, რომ სანაპირო ზონაში ტერიტორიის ათვისება და ნებისმიერი მშენებლობა "საქნაპირდაცვასთან" უნდა შეთანხმდეს.

"საქნაპირდაცვის" დირექტორი ტატო ბერიძე აცხადებს, რომ მას დღემდე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი თვალითაც კი არ უნახავს. არადა, მილსადენის მშენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც დიდი ხმაურითა და ზარზეიმით ამ სამიოდე თვის წინათ, 23 მაისს დაიწყო, დღეს დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. ძალიან მალე მილსადენი რუსთავთან მდინარე მტკვარს გადაკვეთს (სხვათა შორის, ეს ადგილი მდინარის გადაკვეთის ყველაზე დიდი მონაკვეთია). წლის ბოლომდე კი ნავთობსადენი შედარებით მცირე ზომის მდინარეებზე - ალგეთზე, ქციასა და ფოცხოვზე გაივლის. იმ ფაქტს, რომ მილსადენის მდინარეთა გადაკვეთის

გაგრძელება A2 გვერდზე

სამხედრო აკადემია ავტონომიას ითხოვს

შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებაში არსებული თავდაცვის ეროვნული (სამხედრო) აკადემია ავტონომიას ითხოვს. აკადემიის რექტორმა, ბრიგადის გენერალმა გიორგი გოგაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ დღევანდელ ეტაპზე, დაუფინანსებლობის გარდა, აკადემიას მუშაობაში ხელს "არასათანადო იურიდიული ბაზა" უშლის. ეს ორი პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ერთმანეთს.

ვერიკო თევზაძე

გუშინ სამხედრო აკადემიის 175 კურსანტმა ვაკის პარკში სამშობლოს და ღვთის წინაშე ფიცი დადო. ფიცის მიღებამდე მათ წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები, შემდეგ კი ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მკაცრი სავალე წვრთნები გაიარეს. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების რეფორმებიდან გამომდინარე, უკვე მეორე წელია, რაც აკადემია ოფიცრებს, სამხედრო სპეციალისტებს ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად ამზადებს. ეს პროგრამა თურქეთის რესპუბლიკის დახმარებით ხორციელდება. აკადემიის რექტორის გიორგი გოგაშვილის განცხადებით, რეფორმირებული აკადემია იქნება ანალოგი თურქეთის სახმელეთო ძალების აკადემიისა, რომელიც თავის დროზე ამერიკელებმა დააარსეს.

წლევანდელ კურსანტებს წინ ოთხწლიანი სამხედრო მომზადება ელით. პირველ ორ წელიწადს ისინი საბაზო განათლებას მიიღებენ. მეორე ეტაპისთვის სახმელეთო, საავიაციო და საზღვაო სფეროებში გადანაწილდებიან. ამის შემდეგ ერთწლიან ვიწრო სპეციალიზებულ მომზადებას გაივლიან. ოთხი წლის შემდეგ აკადემიის აღსაზრდელებს გადასცემენ ბაკალავრის სამოქალაქო დიპლომს და საშუალო განათლების სერთიფიკატს სამხედრო სფეროში.

"გამარჯვების გზით გევლოთ, თუმცა ნურასოდეს შეგაშინებთ წარუმატებლობა და დამარცხება. ნუ მიაქცევთ ყურადღებას, თუ ვინმე თქვენს გვერდით ფიცს არ შეასრულებს,

გაგრძელება A2 გვერდზე

გამდიდრებული ურანის ნაკვალევი ირანში

გუშინ გაერო-ს ატომურმა ინსპექტორებმა ირანის შესახებ ახალი კონფიდენციალური მოხსენება წარადგინეს, რომლის დეტალებიც "ნიუ იორკ ტაიმსმა" და "ვაშინგტონ პოსტმა" გუშინვე მთელ მსოფლიოს გააცნეს.

ინსპექტორები აცხადებენ, რომ ქალაქ ნათანცში მდებარე ბირთვულ ობიექტზე მათ გამდიდრებული ურანის ნაკვალევი აღმოაჩინეს. გამდიდრებული ურანი მხოლოდ ბირთვული იარაღისათვის გამოიყენება, ატომურ ელექტროსადგურებს იგი არაფერში სჭირდებათ. "ეს ამბავი ჩვენ სერიოზულად გვაშფოთებს," - განაცხადა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელმა მოჰამად ელ-ბარადეიმ.

გაგრძელება A5 გვერდზე

მოკლედ

ქუთაისში მწერლის სახლი გაქურდეს

გუშინწინ, ღამის 2 საათზე, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ქუთაისში მწერალ რეზო ჭეიშვილის სახლი გაქურდეს. წინასწარი მონაცემებით, სავარაუდოდ, სამმა მძარცველმა, მწერლის სახლიდან მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნივთების წაღება შეძლო.

დამნაშავეთა ვინაობა სამართალდამცველებისთვის ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით უკვე აღიძრა საქმე. ქუთაისელი სამართალდამცველები ირწმუნებიან, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის, რეზო ჭეიშვილის მამა-პაპისეული სახლის ქურდობის ფაქტს ძალზე მალე გახსნიან. მათი განცხადებით, პოლიცია ეჭვმიტანილთა ვინაობის დაზუსტებაზე აქტიურად მუშაობს და საკმარისი მტკიცებულების შეკრების შემთხვევაში, მათ დააპატიმრებენ.

24 საათი

უცხოელთა მიმართ ჩადენილმა დანაშაულებმა იმატა

საერთაშორისო კავშირის „მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრის“ ინფორმაციით, შარშანდელთან შედარებით წლეულს, 6 თვის განმავლობაში, უცხოელ მოქალაქეთა მიმართ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულების რიცხვი 22 პროცენტით გაიზარდა.

კავშირის ხელმძღვანელის ნუგზარ სულაშვილის განცხადებით, საქართველოში უცხოელების მიმართ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულის რიცხვის ზრდა 1998 წლიდან აღინიშნება, თუმცა შს სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურაში არსებული ამ დანაშაულების სტატისტიკური მონაცემები რადიკალურად განსხვავდება.

კერძოდ, შსს-ს 2000 წლის მონაცემებით, უცხოელ მოქალაქეთა წინააღმდეგ 57 დანაშაულია ჩადენილი, ხოლო გენერალური პროკურატურის იმავე წლის სტატისტიკა 89-ს აჩვენებს.

შსს-ს მონაცემებზე დაყრდნობით, 1998-2001 წლებში უცხოელ მოქალაქეთა წინააღმდეგ 146 დანაშაულია ჩადენილი, რომლის 32 პროცენტი ამჟამადაც გაუხსნელია, — აცხადებს ნუგზარ სულაშვილი. მისივე თქმით, „მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრის“ იურიდიული კომიტეტი ფლობს შესაბამის ინფორმაციებს და დოკუმენტებს, რომლებზე დაყრდნობითაც აცხადებს, რომ უცხოელების მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას განსაკუთრებული ყურადღება არ ეთმობა.

ამასთან, ზოგიერთ საქმეზე ოპერატიული სამსახურის მოკვლევა და გამოძიების ჩატარება ზრელედ, არაკვალიფიციურად მიმდინარეობს. ასევე, გამოძიების პროცესში გამომძიებლების მხრიდან უხეში სახის დარღვევები და საქმეების ნაწილის წარმოების ნაადრევად შეჩერებაც აღინიშნება.

მედია-ნიუსი

აშშ-ს ბიუჯეტის დეფიციტი ნახევარ ტრილიონს მიაღწევს

ადამ მჭედლიძე

ერაყში მიმდინარე მოვლენების გამო, აშშ-ს ბიუჯეტის დეფიციტი მომავალ წელს ნახევარ ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება. ასეთი არადამაიმედებელი პროგნოზია გაკეთებული კონგრესის საბიუჯეტო ოფისის მოხსენებაში. წლევანდელი 401-მილიარდიანი დეფიციტის შემდეგ, გაისად მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის ბიუჯეტი 480 მილიარდით გაირღვევა.

კონგრესის საბიუჯეტო ოფისის ეს პროგნოზი იმითაც არის შემაშფოთებელი, რომ წელს იგი 246-მილიარდიან დეფიციტს ვარაუდობდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარღვევა გაცილებით უფრო დიდია. აქედან გამომდინარე, ნამდვილად არაა გამორიცხული, მომავალ წელს დეფიციტმა ნახევარ ტრილიონსაც გადააჭარბოს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კონგრესის საბიუჯეტო ოფისი თავიდან 2003-2013 წლებში ბიუჯეტში 891-მილიარდიან პროფიციტს წინასწარმეტყველებდა, მაგრამ ახლა ეს პროგნოზი უკვე შეიცვალა და ოფისი ათწლეულში 1,4-ტრილიონიან დეფიციტს ვარაუდობს.

მაგრამ ესეც, ალბათ, საუკეთესო შემთხვევაში მოხდება. ოფისის ანგარიშში ნავარაუდევია, რომ გადასახადების შემცირება, რომელიც ბუშის ადმინისტრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული პროგრამაა, დროებითი ღონისძიება იქნება. მაგრამ თუკი გადასახადების შემცირება სამუდამო იქნება, როგორც ამას ზოგიერთი რესპუბლიკელი აცხადებს, მაშინ დეფიციტი ათწლეულის განმავლობაში სამ ტრილიონამდეც გაიზრდება.

ცხადია, თეთრი სახლი აცხადებს, რომ გადასახადების შემცირება, საბოლოო ჯამში, ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებს. ბიზნესმენებს და კერძო პირებს უფრო მეტად გაეხსნებათ ხელ-ფეხი და სამეწარმეო აქტივობა მკვეთრად გაიზრდება. მაგრამ მოსახლეობის დარწმუნება ამაში ერთობ გაჭირდება, თუკი მომავალი წლის არჩევნებისათვის უმუშევრობის მაჩვენებელი ქვეყანაში არ შემცირდა. არადა, სპეციალისტთა წინასწარმეტყველებით, ახლანდელი გადასახედიდან ეს მოსალოდნელი არ არის.

„ალ-ქაიდას“ 1200 მებრძოლი ერაყში

ქუვეითში გამომავალი არაბულენოვანი გაზეთი “ალ-ვათანი” ქურთულ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, რომ ბოლო დღეებში ერაყის ტერიტორიაზე “ალ-ქაიდას” ათას ორასზე მეტი მებრძოლი შევიდა. ეს ინფორმაცია გაზეთმა გუშინ გაავრცელა. მასში ნათქვამია, რომ “ალ-ქაიდას” მებრძოლები ერაყელი ძმების დასახმარებად ავღანეთიდან დაიძრნენ და ირანის მთიანი რაიონების გავლით ერაყის ტერიტორიაზე შევიდნენ.

მანამდე, საუდის არაბეთში გამომავალი გაზეთი “აშარქ ალ-აუსათი” ასევე ქურთულ წყაროებზე დაყრდნობით იტყობინებოდა, რომ აქტიური სამხედრო მოქმედების დასრულების შემდეგ, ერაყის ტერიტორიაზე, დაახლოებით, სამი ათასმა ისლამისტმა მებრძოლმა შეაღწია.

მათგან, ქურთმა მოლაშქრეებმა ორმოცდაათი ისლამისტის დაკავება შეძლეს. გაზეთის ცნობით, დაკავებულებს შორის ტუნისის, საუდის არაბეთის და პალესტინის მოქალაქეები იყვნენ.

მონიტორინგი

სახაზინო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 27.08.03

აუქციონის №	34
ემისიის ვადა	140 დღე
ემისიის ოდენობა	3,500,000
მოთხოვნა	3,952,500
დისკონტის პროცენტი min-max	38.70%-80.00%
დისკონტის საშუალო პროცენტი	47.52%
ბიუჯეტის შემოსავალი	2,960,401
დასაფარი თანხა	6,000,000
ბალანსი	-3,039,599

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 8 თვის ვადის აკლია 140.33 მილიონი დოლარი

ისტორიული ინფორმაცია 27 აგვისტოსთვის

ათას. დოლარში

დასახელება	რეგ. თვის პროგნოზი	შესრულება	%	20 აგვისტო
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	717.72	577.39	80%	2.47
ეკონომიკური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	523.65	414.47	79%	1.80
საგადასახადო შემოსავლები	419.44	351.91	84%	1.60
სოციალური ფონდი	157.11	138.52	88%	0.49
სხვანი ფონდი	31.25	25.47	82%	0.38

დასახელება	ექვსი თვის პროგნოზი	შესრულება	%	20 აგვისტო
დეფიციტის დაფინანსება	124.34	156.76	126%	0.00

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

სამხედრო აკადემია ავტონომიას ითხოვს

პირველი გვერდიდან

მომავალი ბრიგადის მეთაურები, სარდლები, მომავალი გენშტაბის უფროსები.

ბესო გულაშვილის ფოტო

მთავარია, თქვენ იყოთ ფიცის ერთგულნი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას, თუ ვინმე თქვენს გვერდით წესიერად არ მოიქცევა, მთავარია, თქვენ იყოთ პატიოსანი და წესიერები”, - ამ სიტყვებით დალოცა გუშინ კურსანტები აკადემიის რექტორმა გიორგი გოგაშვილმა.

საზეიმო ცერემონიას თურქეთის ელჩი საქართველოში, ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი ესწრებოდნენ. ბატონმა ფირცხალაიშვილმა უდიდესი მადლობა გადაუხადა თურქეთის მთავრობას და თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს: **“მათი დახმარება უკვე მეგობრობაში გადაიზარდა და ჩვენ ვამაყობთ ამით.”** პრესასთან კომენტარისას კი განაცხადა: **“მე მჯერა, რომ დღევანდელ კურსანტებს შორის არიან მომავალი ბრიგადის მეთაურები, სარდლები, მომავალი გენშტაბის უფროსიც კი.”**

სამხედრო აკადემია სამართლებრივი ფორმის სრულყოფას საჭიროებს. დღეს აკადემია შეიარაღებული ძალების სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. **“კადრების დანიშვნა იქიდან ხდება. გარდა ამისა, აკადემია არ იღებს ფულად სახსრებს. ჩვენ გვაძლევენ მხოლოდ საკვებს და ჩასაცმელს. ეს გარკვეულ სირთულეებს გვიქმნის. გვესაჭიროება ავტონომია. აკადემიის ბიუჯეტი ცალკე უნდა იყოს გაწერილი. ამჟამად ვმუშაობთ აკადემიის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოსაყალიბებლად. წესით, წლის ბოლოს ეს საკითხი უნდა მოგვარდეს. რაც მთავარია, ჩვენს ინიციატივას თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალების გენშტაბი მხარს უჭერენ”,** - განუცხადა “24 საათს” გიორგი გოგაშვილმა.

დაბოლოს, კიდევ ერთი სიახლის შესახებ. როგორც “24 საათს” თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურიდან აცნობეს, წელს გორში კაპარალთა მომზადების ცენტრი გაიხსნება, სადაც უმთავრესად სერჟანტებს მოამზადებენ. ცენტრი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იქნება. მისი ამოქმედება შეიარაღებული ძალების რეფორმებს უკავშირდება.

ქართული ღვინო განსაცდელშია

ქართული ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგს სახელი უტყდება. ქართული ღვინის ძირითად ბაზარზე - რუსეთში - სულ უფრო და უფრო ჭირს ხარისხიანი ქართული ღვინის პოვნა. მიზეზი მარტივია: ყურძნის იმ უნიკალური ჯიშებისაგან გაშენებული ვენახები, საიდანაც სახელგანთქმული ქართული ღვინო იწურება, ცოტაა. ამიტომაც, არაკეთილსინდისიერი მეწარმეები ხშირად ამ ჯიშებს დაბალხარისხოვან ყურძენსაც ურევენ და ღვინის რაოდენობას ხელოვნურად ზრდიან. შესაბამისად, იკარგება ხარისხი, ქართული ღვინოების სახელგანთქმულ ბრენდებს კი სახელის გატეხვა ემუქრება.

მაია ურუშაძე

"შარშან საქართველოდან საექსპორტოდ 5 მილიონ 500 ათასი ბოთლი ფალსიფიცირებული სასმელი გავიდა. არადა, ქვეყანაში სულ 600 ტონა ღვინო დაიწურა, საიდანაც 600 ათას ბოთლზე მეტი არ უნდა ჩამოსხმულიყო," - განაცხადა გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარემ, "ხვანჭკარის" საზოგადოების პრეზიდენტმა, დეპუტატმა ნიკო ლეკიშვილმა გადამხდელთა კავშირში, მეღვინეებთან შეხვედრისას. ყურძნის მოსავლისა და ექსპორტზე გატანილ ღვინოს შორის ასეთი მკვეთრი რაოდენობრივი დისბალანსი ფალსიფიკაციის მაღალ მაჩვენებელზე მეტყველებს. **"შემოაქვთ ინგრედიენტები, რაღაც სუროგატებით ამზადებენ ფალსიფიცირებულ სასმელს. ზოგ კომპანიას გრამი ღვინო არ დაუმზადებია, ექსპორტს კი აწარმოებს,"** - აცხადებს ლეკიშვილი. მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთმა კომპანიამ საქართველოდან 1 მილიონ 241 ათას 400 ბოთლი ღვინო გაიტანა, მეორემ კი - 920 ათას 328 ბოთლი. **"ეს საბოტაჟია. როცა 2 მილიონი ბოთლი მხოლოდ 2 კომპანიას გააქვს, ბუნებრივია, რომ ქართულ ღვინოს სახელი გაუტყდება და ფასი არ ექნება,"** - მიიჩნევს გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე და ამ თემის წამოწევას უშიშროების საბჭოზე გეგმავს.

როგორც "სამტრესტის" გენერალური დირექტორის მოადგილე მალხაზ ჩაჩავა ვარაუდობს, მეღვინეებს ღვინის წარმოების პირობები საგრძნობლად გაუუმჯობესებათ, თუკი თავის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად სხვადასხვა ორგანიზაციებში სირბილი არ მოუწევთ და საქმეს მხოლოდ ერთ დაწესებულებაში - "სამტრესტში" მოაგვარებენ. **"ჩვენ გვაქვს შესაბამისი კანონმდებლობა და თუ მას სიღრმისეულად გავაცნობიერებთ, პრობლემებიც ნაკლები იქნება,"** - განაცხადა მან და მეღვინეებს ერთჯერადი, უვადო ლიცენზიისა და საჭირო ნებართვების დროულად აღება ურჩია.

დაბოლოს: როგორც ირკვევა, წელს საქართველოში ყურძნის მოსავალი ძალიან კარგია. **"მოსახლეობაც განწყობილია იმისათვის, რომ ვაზი მოაშენოს,"** - აცხადებს ლეკიშვილი. ამდენად, ქართული ღვინის ხარისხს მხოლოდ ის არაკეთილსინდისიერი მეწარმეები ემუქრებიან, რომლებიც ძვირადღირებული სამარკო ღვინის რაოდენობას დაბალხარისხოვანი ჯიშების შერევით ზრდიან. ლეკიშვილის თქმით, ამიერიდან ფალსიფიკაციის აღმოფხვრაში გადამხდელთა კავშირი საბაჟოსა და ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტს" დაეხმარება: ეს უწყებები ღვინის წარმოებას ადგილზევე გააკონტროლებენ.

საქართველოში ბიზნესის წარმოების პოტენციალიც დიდია და რისკებიც

საქართველო-ისრაელს შორის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების არსებობის მიუხედავად, ამ ქვეყნებს შორის ბიზნეს-კავშირები საკმაოდ დაბალ დონეზეა. ებრაელი ბიზნესმენები, მართალია, საქართველოს ბიზნეს-პოტენციალს მიმზიდველად მიიჩნევენ, მაგრამ არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი და არასტაბილურობა მათთვის ჩვენს ქვეყანაში კაპიტალის დაბანდების უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს. გარდა ამისა, საქართველო ისრაელის სახელმწიფოს მიერ შედგენილ მაღალი რისკის ქვეყნების სიაში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. ამ მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობაზე გუშინ, ქართველ ბიზნესმენებთან საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, ისრაელის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზევულონ ორლევი და საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რივკა კოენი საუბრობდნენ.

გვანცა კვინიკაძე

საქართველოს ბიზნეს-კონფედერაციის ინიციატივით მოწყობილ შეხვედრას ქართული მხრიდან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და ოცამდე ქართველი ბიზნესმენი ესწრებოდა. შეხვედრის მასპინძლის, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტის ელგუჯა მელაძის განცხადებით, საქართველოსა და ისრაელს შორის ბიზნეს-კავშირების ჩამოყალიბების დიდი პოტენციალი არსებობს, თუმცა ის, პრაქტიკულად, გამოუყენებელია. ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რივკა კოენმა გაიხსენა, რომ ებრაული კომპანიების ინტერესი საქართველოსადმი 2000 წლიდან განელდა, მანამდე ისინი საქართველოსთან ბიზნეს-ურთიერთობებში საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ისრაელის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის ზევულონ ორლევის განცხადებით, ამის მიზეზი საქართველოში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული რისკების მნიშვნელოვანი ზრდაა. **“ბიზნესმენებს სტაბილურობა სჭირდებათ, ამ საკითხში კი, საქართველო “მოიკოჭლებს”. ბიზნეს-ურთიერთობების განვითარების პოტენციალი მართლაც არსებობს, მაგრამ ეს სახელმწიფო მართვის პრობლემაა, რომელიც საქართველოს უმაღლეს სახელისუფლო წრეებში უნდა გადაწყდეს”,** - მიაჩნია ორლევს.

თუმცა, “საქართველოს ბანკის” გენერალური დირექტორის ელგუჯა სილაგაძის განცხადებით, რისკების დაბალანსება კომერციული ბანკების პირდაპირი მოვალეობაა და ქართული საბანკო სექტორი ამ საქმეს წლების განმავლობაში საკმაოდ წარმატებულად აგვარებს. ამას ქართული კომერციული ბანკებისთვის მრავალი უცხოური და საერთაშორისო საბანკო ორგანიზაციის მიერ ათეულმილიონდოლარიანი საკრედიტო ხაზების გახსნა მეტყველებს, რომლებსაც ქართული ბანკები საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთებით ემსახურებიან.

ამ სერიოზული პრობლემების მიუხედავად, ზოგიერთი ებრაელი ბიზნესმენი საქართველოში საკმაოდ წარმატებით საქმიანობს. მაგალითად, ბიზნესმენი ზეევ ფრენკელი აქ წლების განმავლობაში ანარმოებს ბიზნესს. მისი დაფუძნებულია სამედიცინო ცენტრი “მიკროგენი” და სატელეკომუნიკაციო კომპანია “კავკასიის ციფრული ქსელი” (CDN). როგორც ბიზნესმენმა “24 საათს” განუცხადა, უახლოეს მომავალში, მსოფლიოს მდიდარი ებრაელების დახმარებით, თბილისში ახალი საავადმყოფოს მშენებლობის პროექტი დაიწყება, რომელშიც არაპირდაპირი დახმარება, შესაძლოა, ისრაელის სახელმწიფომაც გაუწიოს. სამაგიეროდ, უკვე დაწყებულია საქართველოსთვის უნიკალური, სანაპირო ზოლზე ჩინური “პაულონიას” ჯიშის ხეების ტყის გაშენება. ფრენკელის თქმით, ამჟამად აჭარის რეგიონში უკვე 25 ათასი ხეა დარგული. ამ პროექტში ბიზნესმენი 40 მილიონი დოლარის ინვესტირებას გეგმავს, რაც მისივე თქმით, მოგებას 7-8 წლის, ანუ ხეების 20 მეტრამდე გაზრდის შემდეგ მოუტანს (ამ ჯიშის ხე ავეჯის წარმოებაში, თაფლის დამზადებისთვის და მესაქონლეობაშიც გამოიყენება).

მიუხედავად ამ დადებითი მომენტისა, ასოციაცია “ნავკოს” თავმჯდომარე გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველომაც და ისრაელმაც თანამშრომლობის გაფართოებისთვის შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგან. თუმცა, პირველი ნაბიჯი, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით – საქართველომ უნდა გადადგას, რასაც, ხუხაშვილის აზრით, ისრაელიდან საინვესტიციო კაპიტალის შემოდინება მოჰყვება.

BP-ს ახალი მოგზივანი გამოუჩნდა

პირველი გვერდიდან

სამუშაო პროექტი “საქნაპირდაცვასთან” დღემდე შეთანხმებული არ არის, “ბრითიშ პეტროლიუმის” გარდა, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაც პროექტის შეთანხმებას არ ჩქარობს, ნავთობსადენს პირველ შემხვედრ მდინარემდე ჯერ კიდევ რამდენიმე კვირა დარჩა.

“პროექტის “საქნაპირდაცვასთან” შეთანხმებაზე საუბარი მშენებლობის ამ ეტაპზე ნაადრევია. როგორც კი მილსადენი მდინარეთა გადაკვეთის ადგილს მიუახლოვდება, გარწმუნებთ, “ბრითიშ პეტროლიუმი” საჭირო შეთანხმებას ამ სამსახურთან აუცილებლად მიაღწევს“, - "24 საათთან" საუბრის დროს ასეთ კომენტარს აკეთებს, ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პროექტების მართვის კოორდინატორი ირაკლი ქელბაქიანი.

ქელბაქიანისგან განსხვავებით, “საქნაპირდაცვის” დირექტორი ასე დარწმუნებული არ არის. ტატო ბერიძე ეჭვობს, რომ შესაძლოა, ბრიტანელ ინვესტორს შეთანხმების ნაცვლად, სასამართლოში სირბილი და თავის მართლება მოუწიოს.

“უახლოეს დღეებში, თუ კი “ბრითიშ პეტროლიუმი” ყოველ კონკრეტულ მდინარეზე ნავთობსადენის გადაკვეთის მუშა პროექტს არ წარმოადგენს, ჩვენ სასამართლოში სარჩელს აუცილებლად შევიტანთ“, - იმუქრება "საქნაპირდაცვის" დირექტორი.

სხვათა შორის, ამ რამდენიმე დღის წინ ძალაში შევიდა ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის ბრძანება, რომელიც, მთელ რიგ ღონისძიებებთან ერთად, “საქნაპირდაცვას” მდინარეთა გადაკვეთებისა და წყალსაცავების სანაპირო ზონებში ნავთობსადენის მშენებლობის პროცესზე დაკვირვებას და შედეგების კვარტალში ერთხელ წარმოდგენას ავალდებულებს. **“როგორ შეიძლება ჩვენმა სამსახურმა რაიმე დაკვირვება აწარმოოს, როცა მშენებლობის პროექტს არც კი ვიცნობთ”,** - გაკვირვებული კითხულობს ტატო ბერიძე.

ამ რამდენიმე წლის წინათ ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე მოხდა ავარია, რასაც ნავთობის დიდი რაოდენობით მდინარეებში ჩაღვრა მოჰყვა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, “საქნაპირდაცვის” დირექტორის მტკიცებით, მაშინაც პროექტის მათ სამსახურთან შეუთანხმებლობა იყო. **“ღმერთმა დაიფაროს და, ამ შემთხვევაშიც რომ იგივე განმეორდეს, მერე პასუხისმგებელი ამაზე ჩვენი სამსახური უნდა გახდეს. ამიტომ, კეთილი ინებოს BP-მ, სანამ მილსადენი მდინარეთა გადაკვეთის ადგილს მიუახლოვდება, მანამდე წარმოგვიდგინოს პროექტი, რომ ობიექტური დასკვნის გასაკეთებლად საკმარისი დრო გვქონდეს”,** - გვითხრა ტატო ბერიძემ.

სხვათა შორის, ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში იმასაც დაბეჯითებით აცხადებენ, რომ ბრიტანელი ინვესტორი მოქმედ კანონმდებლობასთან პირნათლია, რადგან საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულება ნებისმიერ კანონზე მაღლა დგას. თუმცა, ისტორიული ხელშეკრულების ყველაფერზე მაღლა დგომა მის ქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან წინააღმდეგობას რომ არ გულისხმობს, ეს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაშიც უნდა იცოდნენ.

ორი სიტყვით

თბილისი. სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ქვეყნის ენერგოსისტემაში არსებულ მდგომარეობას შემაშფოთებლად მძიმეს უწოდებს და მისი ტექნიკური რეაბილიტაციისთვის მსოფლიო ბანკისგან 150-დან 170 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას მიიჩნევს საჭიროდ. როგორც ავთანდილ ჯორბენაძე აცხადებს, რეაბილიტაციის შემდეგ ქვეყნის ენერგოსისტემის საპრივატიზაციოდ მომზადება და ამ სფეროში რეფორმის დასრულება შესაძლებელი იქნება. ჯორბენაძის თქმით, თუ ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერგიის თანხების ამოღება არ გაუმჯობესდება, ელექტრომომარაგების თვალსაზრისით ისედაც დეფიციტურ ქვეყანას კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეექმნება. მისივე თქმით, 2003 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში ქვეყანამ 8.6 პროცენტით ეკონომიკური ზრდა იმის გამო მიიღო, რომ მსხვილი სამრეწველო საწარმოების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა შარშან საკმაოდ ნორმალურად მიმდინარეობდა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ორი დღის წინ მოსკოვიდან თბილისში საერთაშორისო ენერგოკომპანია „იტერას“ წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. საქართველოში "იტერას“ წარმომადგენლის თამაზ პატარიძის განცხადებით, „იტერას“ სამუშაო ჯგუფის ვიზიტის მიზანია კუთვნილ სს „აზოტში“ არსებულ მდგომარეობის შესწავლა. „იტერას“ წარმომადგენელთა თბილისში ვიზიტი დაემთხვა "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის" წარმომადგენელთა ვიზიტს საქართველოში. თამაზ პატარიძე ამ ორ ვიზიტს ერთმანეთს არ უკავშირებს და აცხადებს, რომ „იტერას“ აქვს შესაძლებლობა, გარდაბნის ენერგობლოკებს ბუნებრივი აირი მიაწოდოს, თუმცა მსგავსი წინადადება კომპანიისათვის ჯერჯერობით არავის შეუთავაზებია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაიერსის თხოვნით, პარასკევს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ელჩთან რეგიონებში თავის რწმუნებულებსა და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ხელმძღვანელ პირებს შეკრებს. საქართველოს მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიერ განხორციელებულ სადამსჯელო ღონისძიებებს, რომელთა მიზანს საფასურის ამოღების მაჩვენებლის ზრდა წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. წლეულს რვა თვეში თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთნაკადი გაიზარდა. აეროპორტის ადმინისტრაციის ცნობით, იანვარ-აგვისტოში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თბილისის აეროპორტიდან გაემგზავრა და თბილისში ჩამოვიდა 13 ათასზე მეტი მგზავრი. მხოლოდ აგვისტოში მგზავრთნაკადი, შარშანდელთან შედარებით, ორი ათასით გაიზარდა. აეროპორტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ მგზავრთა რაოდენობაზე უარყოფითად არც ორი უცხოური ავიაკომპანიის რეისების შეჩერებამ იმოქმედა. „ბრითიშ ეარვეისის“ და „თურქიშ ეარლაინსის“ მგზავრები სხვა რეისებზე გადანაწილდნენ. აღსანიშნავია, რომ ორივე კომპანია შემოდგომიდან რეისების აღდგენას გეგმავს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

მოსკოვი. 1970 წელს დაბადებული თბილისელი კახაბერ ჩხიროძე სამშაბათს საღამოს მეტროს სადგურ "შჩუკინსკაიასთან" დაიკავეს. მას სხვა გვარზე გაცემული, საქართველოს მოქალაქის პასპორტი აღმოაჩნდა. მოსკოვის მილიციის მონაცემებით, 1995 წლის ივნისში ჩხიროძემ მოსკოვში ჩაიდინა დანაშაული, რაც რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით "სხეულის მძიმე დაზიანებას" გულისხმობს. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. შსს-ს და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს ქარელის რაიონში მცხოვრები, 37 წლის შალვა მაისურაძე. დაკავებისას მას 31.1 გრამი ჰეროინი აღმოუჩინეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი ნარკომანიის წინააღმდეგ "საერთო ეროვნული განგაშის ატეხვას" მოითხოვს. "ბოლო პერიოდში საქართველოში ნარკომანია ძალიან მომძლავრდა. ამ საქმეს დღეს ბავშვებმაც კი მიჰყვეს ხელი. ამიტომ საჭიროა, საერთო ეროვნული განგაში ატყდეს", - აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციიდან ერთი წლის თავზე ქართველი ძალოვანების მიერ გატარებულ ღონისძიებებს ეფექტიანად მიიჩნევს. „ძალიან მსხვილი და სერიოზული კრიმინალური ჯგუფები იქნა ლიკვიდირებული, მათ შორის - ცალკეული პირებიც. ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრმა ხეობა შეშინებულმა დატოვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ უმძლავრესი კრიმინალური ფორონტის დაშლა მოხდა," — განაცხადა მამუკა არეშიძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მე-5 საპყრობილეში, უკვე მე-6 დღეა, პატიმარი ჯარჯი ჯაბანაშვილი შიმშილობს. „სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის“ ორგანიზაციის პრეზიდენტის გიორგი ლაღიძის განცხადებით, ჯაბანიშვილი თავს დამნაშავედ არ სცნობს. იგი 10 ივლისს დააკავეს 1996 წელს თიანეთში ბერიანიძეების ოჯახში მკვლელობის ფაქტის დამალვის ბრალდებით. აღსანიშნავია, რომ მკვლელი დღემდე არ არის დაკავებული. ლაღიძის თქმით, ჯაბანიშვილი შს სამინისტროს დაკავების იზოლატორში აწამეს, რაზეც ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნა არსებობს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

— ორი სიტყვით —

თბილისი. 11 სექტემბრისთვის საქართველოს ევროპისა და ამერიკის 10-მდე ტელეკომპანიის 40-მდე ჟურნალისტი ეწვევა. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მერაბ ადეიშვილის განცხადებით, 2 სექტემბერს ბრიუსელში სტარტს აიღებს და ქაბულში დასრულდება ჟურნალისტთა ჰუმანიტარული აქცია, რომლის მონაწილეებიც საქართველოს ტერიტორიის გავლით ავღანეთში ჰუმანიტარულ ტვირთს ჩაიტანენ. "ვფიქრობ, 40 ჟურნალისტის ტელერეპორტაჟი საქართველოსა და ტრასეკას მაგისტრალისთვის შესანიშნავი რეკლამა იქნება, მითუმეტეს, რომ ეს ჟურნალისტები საქართველოში ღირსშესანიშნაობების მონახულებასაც აპირებენ", - განაცხადა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მერაბ ადეიშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 29 აგვისტოს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებული ახალი ბატალიონის დათვალიერება მოეწყობა. ამ ღონისძიებას ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მოწვეული უცხოელი სტუმრები დაესწრებიან. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გუშინ დედაქალაქის მერს ვანო ზოდელავას მიმართა თხოვნით, უსაფრთხოების დამატებითი ზომები იქნას მიღებული, რათა ღონისძიებამ ღირსეულად ჩაიაროს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი გურამ შარაძე „დეპუტატის მოთხოვნის“ უფლებით მიმართავს გენერალურ პროკურორ ნუგზარ გაბრიჩიძეს და კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, სულხან მოლაშვილს, სასწრაფოდ დაინტერესდნენ გამომცემლობა „დიოგენეს“ საკითხით, რომელმაც „ქართველი ახალგაზრდობის გამხრწნელი წიგნი“ გამოსცა. შარაძის თქმით, გაბრიჩიძემ უნდა გამოიკვლიოს წიგნის გამოცემის საშუალებები, მისი გავრცელების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები და გასცეს „წიგნის დაპატიმრების“ სანქცია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. გაერო-ს გენერალური მდივნის ყოფილი სპეცწარმომადგენელი საქართველოში, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის წარმომადგენლის სტატუსით თბილისში მყოფი ლივიუ ბოტა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში პროგრესის არარსებობას ადასტურებს და მწუხარებას გამოთქვამს ამის გამო. "კონფლიქტის მოგვარების კუთხით სასურველ მნიშვნელოვან ძვრებს ვერ ვხედავ, მაგრამ პრობლემის სამართლიანი მოგვარების იმედს არ ვკარგავ," - აცხადებს ბოტა. კონფლიქტის მოუგვარებლობის ძირითად მიზეზად მან დაპირისპირებულ მხარეებში "პოლიტიკური ნების არარსებობა" დაასახელა. ბოტას თქმით, "ეუთო-ს სურვილი აქვს, აფხაზეთის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად მოქმედება გააქტიუროს, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერჯერობით არაფერი გამოდის". **ინტერ-პრესი**

ჩუმად, უკვირუმოდ, უსახელოდ...

ვირველი გვერდიდან

ის ფაქტი, რომ გუშინ კვორუმი ვერ შედგა, მნიშვნელოვანწილად, მაჟორიტარი დეპუტატების პროტესტმა განაპირობა: მთავრობამ მხოლოდ 12 რაიონისთვის გამოძებნა სატრანსფერო თანხები, დანარჩენები კი მშრალზე დატოვა. ჰოდა, ფინანსური ინექციის გარეშე დარჩენილი რაიონების მაჟორიტარების პროტესტი იმაში გამოიხატა, რომ ისინი... პარლამენტში არ გამოცხადდნენ.

კვორუმის არარსებობის მიუხედავად, პარლამენტარებს წინა დღის დაძაბული სხდომის შეფასების შესაძლებლობა მაინც მიეცათ. ვინაიდან სამშაბათს პარლამენტში სხვებზე მეტად სახელმწიფო მინისტრმა იაქტიურა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გუშინდელი დღის "გმირად" ისევ ავთანდილ ჯორბენაძე იქცა, ოღონდ, ამჯერად უკვე - სხდომაზე დაუსწრებლად.

ასეთ მდგომარეობაში პარლამენტმა ვერც ჰიმნი დაუკრა და ვერც - "შალახო".

ბეჭდ. გვერდისა ფოტო

"ქვეყანა იმან დაღუპა, რომ ვერშემდგარი ექიმი სახელმწიფო მინისტრად მოგვევლინა. ჯორბენაძე ვერც მრეწველობაში, ვერც სოფლის მეურნეობაში და საერთოდ, სახელმწიფო საქმეებში, ვერ ერკვევა. ის დღეს მთლიანად საარჩევნო საკითხებით არის დაკავებული და სხვა ვეღარაფრისთვის იცლის," - სახელისუფლებო ბლოკის ლიდერს რისხვა დაატეხა პარლამენტარმა ელიზბარ ჯაველიძემ.

ავთანდილ ჯორბენაძის მიმართ "თბილად" ისაუბრა აგრეთვე "ახალი მემარჯვენეების" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ: **"თუ სახელმწიფო მინისტრმა იცის, რომ ბიუჯეტის შეუსრულებლობაზე სწორედ ის არის პასუხისმგებელი, მაშინ დატოვოს პოსტი და თავისი პარტიის საარჩევნო შტაბს უხელმძღვანელოს."**

თუმცა, ასეთი გამოსვლები დიდხანს არ გაგრძელებულა. ვინაიდან სხდომის ტრანსლაცია არ მიმდინარეობდა, დეპუტატებს თავი დიდად აღარ შეუწუხებიათ და ნელ-ნელა დაიშალნენ. წასვლის წინ კი "დაიბარეს", რომ რიგგარეშე სესიას საშემოდგომო სესიის შემდეგ დახურავენ. უფრო ზუსტად, სექტემბრის პირველ სამშაბათს, როდესაც საშემოდგომო სესია გაიხსნება, დეპუტატები მუშაობას ვალად დარჩენილი საკითხებით დაიწყებენ.

"ჩვენ რომ არ ვყოფილყავით, თქვენ საერთოდ არ იქნებოდით!„

ვირველი გვერდიდან

ჩვენი ხელისუფლება ბოლო დროს განსაკუთრებით ცდილობს ქართულ სიძველეთა მიმართ საკუთარი პატივისცემის დემონსტრირებას. მთავრობის წინა სხდომაზე, ბაგრატის ტაძრის იუბილესთან დაკავშირებით, იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული თემურ შაშიაშვილი ვიდეომასალების ჩვენებით იწონებდა თავს. ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული კი, დიდგორობის დღესასწაულთან დაკავშირებით, უფრო მასშტაბებზე აკეთებს აქცენტს. ამ დღესასწაულში, რომელიც გუბერნატორის თქმით, ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით, დაახლოებით 25 წლის წინ აღდგა, ახლა ლევან მამალაძე ქვეყნის ყველა რეგიონის ჩართვაზე მუშაობს. მსახიობ გოგი ქავთარაძის განცხადებით, **"ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დიდგორში 50-50 მომლერალ-მოცეკვავე ჩავა"**. ისიც გადაწყდა, რომ დაწესდეს "დიდგორის სახელობის" ორდენი. პირველი კავალერები წელს, 6 სექტემბერს, დიდგორობაზე დასახელდებიან.

იმ ქვეყანაში, რომელსაც ელემენტარულად ელექტროენერგიის მომარაგების მხრივ ვერ მოუგვარებია პრობლემები, მთავრობას დიდი ზარ-ზეიმის სურვილი თითქოს არც უნდა ჰქონდეს. მით უფრო მაშინ, როცა ამ საკითხზე "განგაშის ზარს" თვითონ სახელმწიფო მინისტრი არისხებს. ავთანდილ ჯორბენაძე, ელექტრომომარაგების და გადასახადის ამოღების თვალსაზრისით, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის და ამერიკის ელჩის შეშფოთებას იზიარებს. პარასკევს სახელმწიფო მინისტრის თხოვნით, პრეზიდენტი რიჩარდ მაილსსა და მხარის რწმუნებულ-გუბერნატორებს უნდა შეხვდეს. პრეზიდენტის განწყობა უკვე ცნობილია: **"თუ ელექტროენერგიას ხალხს უფასოდ მისცემ, ყველა კმაყოფილი იქნება... საჭიროა ამ პრობლემას როგორმე მოევლოს. დიდი სიხარული კი არ განგვიცდია, საქართველოში "გაზპრომი" რომ შემოვიყვანეთ. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ კარგად გამოგვეზამთრებინა. ეს კომპანია რამდენიმე ქვეყანაში მუშაობს და არც ერთი არ დაუღუპავს. ასე რომ, ზოგიერთის ცინიკური განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის საჭირო"**.

პოლიტიკური პოპულიზმის კიდევ ერთ გამოვლინებად პრეზიდენტი, განათლების მინისტრთან ერთად, 1 სექტემბრისათვის სახელმძღვანელოების რესპუბლიკის მოედანზე დარიგებას მიიჩნევს. როგორც განათლების მინისტრი, ისე თბილისის მერი აცხადებენ, რომ მრავალშვილიან დედებს და პირველკლასელთა გარკვეულ კატეგორიას წიგნები მანამდეც ურიგდებოდათ. შეგახსენებთ: რესპუბლიკის მოედანზე სახელმძღვანელოების დარიგების იდეა "ნაციონალების" ლიდერ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. პრეზიდენტი ამ ფაქტს ბავშვების პოლიტიკაში ჩართვის მცდელობად აფასებს.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა გუშინ ჩიყვის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოხსენებაც მოისმინა. ამირან გამყრელიძე ამ პრობლემის გადასაჭრელად რამდენიმე კანონის მიღებასაც ითხოვს, რომელთა შორის სადასახადო კოდექსში ცვლილებებიც შედის. იოდიზირებული მარილის შემოტანისა თუ მისი წარმოების თვალსაზრისით, გარკვეული შეღავათები უნდა დაწესდეს და საქართველოში, ძირითადად, იოდიზირებული მარილი უნდა შემოიტანონ.

კარგა ხნის შემდეგ, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის კვლავ აქტუალური გახდა ჭიათურმანგანუმის საკითხი. ერთ დროს საკმაოდ მომგებიანი, ახლა კი გაკოტრებული საწარმოს საკითხი გენერალურმა პროკურატურამ, პრეზიდენტის დავალებით, უახლოეს ხანში უნდა გაარკვიოს.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე უნდა იმსჯელონ ახალგაზრდობაში ნარკომანიის გავრცელების საკითხზე, რომელიც პრეზიდენტმა ლამის ახალგაზრდობის ყველაზე დიდ პრობლემად დაასახელა.

უფრო მეტად კი, მთავრობის სხდომაზე გუშინ მაინც "ნათელი ისტორიული დღეების" გახსენების და აღნიშვნის აუცილებლობაზე საუბრობდნენ. ეტყობა, დღევანდელ პრობლემებზე საუბარი მთლად სასიამოვნო არც მთავრობისთვისაა.

რთული არჩევანი

ვირველი გვერდიდან

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებულ კანდიდატთა ვინაობა ოფიციალურად ჯერაც არ არის ცნობილი. გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე უცხოელმა დიპლომატებმა მედიის წარმომადგენლებს მხოლოდ ის განუცხადეს, რომ პრეტენდენტთა შორის ცხრა მანდილოსანია. უფრო მეტი კონკრეტიკისაგან ბოტა და ნიკოლოვი, ჯერჯერობით, თავს იკავებენ.

ევროსაბჭოსა და ეუთო-ს წარმომადგენლები შესანიშნავად გრძნობენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მათ არჩევანს. მით უფრო, რომ დიპლომატებმა პრეზიდენტს **"სოლიდური რეპუტაციის მქონე, საზოგადოების ნდობით აღჭურვილი, მიუკერძოებელი და მაღალი მორალური თვისებებით გამორჩეული"** ხუთი კანდიდატი უნდა შესთავაზონ. ეს კი საკმაოდ რთული ამოცანაა.

უცხოელ დიპლომატებს ნამდვილად აქვთ იმის იმედი, რომ ამ უმნიშვნელოვანეს მისიას თავს წარმატებით გაართმევენ. ამის მიუხედავად, მაინც იქნება შთაბეჭდილება, რომ სპეკომისიის წევრები პრეტენდენტებით დიდად კმაყოფილნი არ უნდა იყვნენ. ჟურნალისტთა კითხვაზე, თუ რამდენად მისაღებია მათთვის წარმოდგენილი კანდიდატები, პლამენ ნიკოლოვმა ასეთი (და არც თუ ორაზროვანი) პასუხი გასცა: **"საქართველოს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ უფრო მეტი ღირსეული კანდიდატი გამოჩნდეს"**. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დიპლომატები ახალი სახელების გამოჩენას დღესაც ელოდებიან, იმის მიუხედავად, რომ კანდიდატთა გაცხადებების მიღება ოფიციალურად დასრულდა.

გუშინ, საღამოს ლივიუ ბოტა და პლამენ ნიკოლოვი საქართველოს პრეზიდენტს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. ჩვენთვის უცნობი დარჩა ამ შეხვედრის დეტალები. რაც შეეხება თავად პრეტენდენტებს, ლივიუ ბოტა და პლამენ ნიკოლოვი მათ დასახელებას პარტიებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ აპირებენ (კონსულტაციათა სერია დღეს, მთელი დღის მანძილზე გაგრძელდება). როგორც ლივიუ ბოტა აცხადებს, სულაც არ არის გამორიცხული, ახალი გვარები სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ დასახელდეს. **"ჩვენ მზად ვიქნებით ახალი კანდიდატურების განსახილველად"**, - აცხადებენ დიპლომატები.

მანამდე კი მედიას მხოლოდ კანდიდატთა არაოფიციალური და ამასთან, არასრული ჩამონათვალი აქვს. გია ზესაშვილი, რუსუდან ბერიძე, ვახტანგ ხმალაძე, გიორგი ანდრიაძე, ავთანდილ დემეტრაშვილი, ნინო გურიელი, დავით ტურაშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, ნანა კაკაბაძე, გიორგი თარგამაძე, მალხაზ რამიშვილი, ნუგზარ კუპრეიშვილი – ასე გამოიყურება კანდიდატთა ჩვენს ხელთ არსებული სია. როგორც უკვე ვთქვით, მათი გაცხრილვა რამდენიმე დღეში უნდა დასრულდეს.

"კანდიდატთა შერჩევისას, ჩვენ მაქსიმალურად გავითვალისწინებთ საქართველოს კანონმდებლობას და შევეცდებით, მოკლე სიაში არ მოხვდნენ ის პიროვნებები, რომლებიც, არჩევნების ორგანიზებისას, ვიწრო პარტიული ინტერესებით იხელმძღვანელებენ. შეუძლებელია, ეს ადამიანები აპოლიტიკურები იყვნენ, მაგრამ მათი სახელები კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან არ უნდა ასოცირდებოდეს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ შერჩეული კანდიდატები პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მოსახლეობის მხარდაჭერას და, დემოკრატიული პრინციპების დაცვით, გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების უზურნველყოფას შეძლებენ," - ასეთი განწყობით იწყებენ შერჩევის პროცესს კომისიის წევრები.

ამასობაში კი ქართული პოლიტელიტის ნაწილი საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ კანდიდატისადმი უკვე ღიად გამოთქვამს. თუკი "ალორძინებისთვის" ყველაზე მისაღები გია ზესაშვილია, სახელისუფლებო პარტიების სიმპათია უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის, რუსუდან ბერიძისაკენ იხრება.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ სვანებს მიმართვა გაუგზავნა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა მესტიის რაიონის მცხოვრებლებისადმი პრეზიდენტ შევარდნაძის მიმართვა გაავრცელა, რომელშიც იგი ბოლო პერიოდში სვანეთში შექმნილი ურთულესი კრიმინოგენული ვითარების გამო განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს. „ძვირფასო მესტიელებო, უშიშროების საბჭოს წევრებმა ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება მესტიაში ანტიკრიმინალური კომპლექსური ღონისძიების შესახებ. ამ დროს მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ ეს ღონისძიებები კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელდება, რაც შემდგომი სტაბილურობისა და მყარი საზოგადოებრივი წესრიგის უმთავრეს პირობად იქცევა“, — ნათქვამია პრეზიდენტის მიმართვაში. **მედია-ნიუსი.**

მოკლედ

არძინბას მთავრობა დარწმუნებულია, რომ ქართველები აფხაზეთში ომის დასაწყებად ემზადებიან

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ პროტესტი გამოთქვა 25-26 აგვისტოს ფოთში სამხედრო სწავლების "იმედი 2003"-ის ჩატარების გამო და ეს ფაქტი "აფხაზეთთან ომისათვის მზადების დასტურად" შეაფასა. ეშბას განცხადებით, ქართული მხარე დასავლეთის ქვეყნებისა და აშშ-ს დახმარებით თავისი შეიარაღებული ძალების მზადყოფნაში მოყვანას განაგრძობს, რაც ნიშანია იმისა, რომ საქართველო აუცილებლად დაიწყებს ომს აფხაზეთის წინააღმდეგ. ეშბამ მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას, "ყურადღება მიაქციოს" ქართული მხარის შეიარაღებაში არსენალის ზრდას, რაც, მისი შეფასებით, "არღვევს ბალანსს სამხრეთ კავკასიაში". როგორც სარწმუნო წყარო იტყობინება, ეშბას ამგვარი განცხადებების პარალელურად, თავად აფხაზური მხარე რუსეთისგან იარაღის პერმანენტულ მიღებას განაგრძობს. იმავე წყაროს ცნობით, უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრომ რუსეთისგან დიდი ოდენობით ახალი ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალი მიიღო. გარდა ამისა, აფხაზურ მხარეს იარაღი გადასცეს რუსეთის სამშვიდობო ძალებმა, რომლებმაც თავისი ტექნიკის ნაწილი ჩამოწერეს. საზღვაო-სახმელეთო სწავლება "იმედი – 2003" დაბა ყულევში გაიმართება. არტილერიისა და საზღვაო ხომალდების ურთიერთშეთანხმებით სწავლებაში ოპერატიულ-ტაქტიკური ოპერაციები შესრულდა. საბრძოლო ოპერაციებში საჰაერო ძალებიც ჩაერთვნენ. სწავლება სამ ეტაპად წარიმართა. მასში 1150 ჯარისკაცმა და ოფიცერმა მიიღო მონაწილეობა. საზღვაო თავდაცვის ძალებთან ერთად, საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოთის სამმართველო, უშიშროების განყოფილება, შინაგანი ჯარების დივიზიონი, საზღვრის დაცვის მე-2 დივიზიონი და საჰაერო თავდაცვის ძალები იღებდნენ. **ინტერ-პრესი**

დევნილები ნადარეიშვილის გადადგომას ითხოვენ

საპროტესტო აქციის მე-7 დღეს აფხაზეთიდან დევნილები მოთხოვნებს ამკაცრებენ. იმელის შენობის წინ მოშიმშილე ვეტერანების მოთხოვნას — გადადგეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლონდერ ცაავა და მინისტრთა კაბინეტი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის გადადგომის მოთხოვნაც დაემატა.

გუშინ აქციის მონაწილეებმა საგანგებო სესიის სასწრაფო მოწვევა მოითხოვეს და საგანგებო განცხადება გაავრცელეს.

განცხადებაში ნათქვამია: „ხალხი, რომელსაც ხელში იარაღი ეჭირა და თავდაუზოგავად იბრძოდა თავისი მიწისთვის, თავის ოჯახებთან ერთად, უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში ცხოვრობს. მათ ყურადღებას არავინ აქცევს, მათ შორის - არც თამაზ ნადარეიშვილი, თუმცა ეს მათი თანამდებობრივი ვალდებულება და ადამიანური ვალია“. აქციის ხელმძღვანელის რუზგენ გოგოხიას თქმით, მათმა აქციამ უკვე ფართომასშტაბიანი ხასიათი მიიღო. მისივე თქმით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საჭიროა ახალი არჩევნების ჩატარება. „თავმჯდომარე უნდა გახდეს კომპეტენტური პირი, რომელმაც იცის, რა არის ომი და შიმშილი და რომელიც რეალურად იცნობს ხალხის პრობლემებს“, — ამბობს გოგოხია. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ „ან დაიხოცებიან ან გაიმარჯვებენ“. გუშინვე აქციის მონაწილეებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი შეხვდა, თუმცა ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო. თავად თამაზ ნადარეიშვილი აქციის მონაწილეებს გუშინ არ შეხვედრია. ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესების გამო, მოშიმშილეები - ლევან გაფრინდაშვილი, ედიშერ შუკვანი და მამუკა გოგოხია სტაციონარში გადაიყვანეს. **მედია-ნიუსი**

შარა-შარა, ეზო-ეზო, დროშები-დროშები!

პირველი გვერდიდან

ბესო ბელეულიძის ფოტოები

მერიის "სადაგი" დღე...

დროშების ჩამოხსნას მოსარჩელე მხარე, პარლამენტარი გურამ შარაძე ადევნებდა თვალს. **„როგორც იქნა, სამართალმა პური ჭამა!“ „ძირს სააკაშვილი!“** – აღფრთოვანებას ვერ მალავდა პარლამენტარი, თუმცა, სიამოვნება დიდხანს არ დასცალდა. ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ჯერ მერიის ერთ-ერთი ფანჯრიდან გადმოფინეს ხუთჯვრიანი დროშა, ერთ საათში კი ცხრავე ისევ შენობის თავზე დაამაგრეს. მეტიც, საკრებულოს თავმჯდომარის აპარატის უფროსის გიორგი არველაძის განცხადებით, “ეროვნული სიწმინდის ეს სიმბოლოები მალე სახელმწიფო კანცელარიის სახურავზეც აფრიალდება”. გუშინდელი პროცესის წარმმართველად არველაძე სწორედ კანცელარიას ასახელებს.

”შევარდნაძემ თავისი წარმომადგენლები ქურდულად შეოგზავნა შენობიდან დროშების ჩამოსახსნელად. მათ ქურდობის მეტი არაფერი შეუძლიათ, თუმცა, დროშები მაინც ფრიალებს თბილისის მერიის შენობის თავზე და ძალიან მალე კანცელარიის თავზეც აფრიალდება,“ – თქვა საკრებულოს თავმჯდომარის აპარატის უფროსმა მოგვიანებით გამართულ პრესკონფერენციაზე. საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარის დავით ბერძენიშვილის განცხადებით კი, **”ხუთჯვრიანი დროშა განახლებული საქართველოს სიმბოლოა, საქართველო ამ დროშის ქვეშ გაერთიანდა და ამიტომაც არ სურს აგონიაში მყოფ ხელისუფლებას მისი აღზევება.”**

გულზე მჯიღს იცემდა გურამ შარაძეც. **”მსოფლიოს გავაგებინებ, რაც აქ ხდება!”** – იქადნებოდა იგი და საზოგადოებას არათუ დროშების ხელახალ ჩამოხსნას, მერიის შენობიდან საკრებულოს თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის განდევნასაც ჰპირდებოდა. საკრებულოს თავმჯდომარისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დროშების კვლავ ჩამოსახსნელად პარლამენტარს, ალბათ, ახალი სასამართლო პროცესის წამოწყება დასჭირდება. გუშინ დროშების ჩამოხსნასთან დაკავშირებით გამართულ კიდევ ერთ პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი წკრიალაშვილმა განაცხადა, რომ ეს აქტი ერთჯერადი იყო და თბილისის მერიის შენობიდან დროშების ხელმეორედ ჩამოხსნას სასამართლოს ახალი დადგენილება დასჭირდება.

ამ აურზაურისა და კიდევ იმის გამო, რომ მერიასთან დილიდანვე შეიკრიბნენ მერთან შეხვედრისა და სასექტემბროდ მატერიალური დახმარების მომლოდინე მრავალშვილიანი დედები, თბილისის ცენტრალური ქუჩების მიწისქვეშა გადასასვლელების დამგეგი ექვსი წინსაფრიანი მეეზოვე მოკრძალებით იჯდა განაპირა ბორდიურზე. როგორც ”24 საათმა” გაარკვია, ისინი სამი თვის გაუცემელ ხელფასსა და კუთვნილ შვებულებას ითხოვდნენ. **”ხელფასი ჩვენ არა გვაქვს, ცოცხები ჩვენ არა გვაქვს, წინსაფრები ჩვენ არა გვაქვს! როგორ ვიმუშაოთ?** – იკითხა დილო მამოიანმა, - **100 ლარი გვქონდა, ახლა 60 გვაქვს და იმასაც არ გვაძლევენ. რა ვქნათ? არ დავგავეთ დღეს ”პადზემკები”. არც ხვალ დავგვით. ვნახოთ, როგორ სიბინძურეში იქნება ქალაქი.”**

საქართველოს ქურთების კულტურული ცენტრის გენერალური დირექტორი კახა კალაშოვი ირწმუნება, რომ გუშინ დაწყებული აქცია იქამდე გაგრძელდება, ვიდრე მეეზოვეებს ხელფასს არ მისცემენ, საჭიროების შემთხვევაში კი მას ქალაქის სხვა მეეზოვეებიც შეუერთდებიან. ჭუჭყი წაიღებს ყველაფერს, - გვპირდებიან ისინი. მსგავსი რამ თბილისს ერთხელ დაემუქრა და ისიც ”ვერის უბნის მელოდიებში”. მაშინ ქალაქის პოლიციმაისტერმა მრეცხავების გაფიცვით შეწუხებული მოსახლეობის თხოვნა შეისმინა. ამ შემთხვევაში ”გასათავისუფლებელი” 120 ათასი ლარია. მერიის სამსახურებში აცხადებენ, რომ ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად ქალაქი პროცენტიან ვალსაც კი აიღებს. ასე ამბობენ, თორემ პირობა გუშინ მერიის წინ შეკრებილთათვის არავის მიუცია.

ორი სიტყვით

თბილისი. პირველი სექტემბრიდან თბილისის ყველა სკოლასთან საგზაო პოლიცია დამატებით განაწესებს გამოყოფს. დილისა და საღამოს საათებში თითო სკოლასთან ორი-სამი ინსპექტორი იმუშავებს. ისინი ბავშვებს ქუჩებზე გადასვლაში დაეხმარებიან და სკოლებთან ავტოტრანსპორტის მოძრაობას გააკონტროლებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ადმინისტრაციული ინსპექცია მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიების მოწესრიგებას მომავალი კვირიდან აღადგენს. გარემოვაჭრეებისგან ჯერ „სამგორის“ მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორია გათავისუფლდება. ინსპექციის ძალისხმევამ ყველაზე კარგი შედეგი გამოიღო მეტრო „მარჯანიშვილთან“. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრში დასრულდა ტრენინგ-სემინარები ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიის სააღმზრდელო დაწესებულებების პედაგოგებისა და აღმზრდელებისთვის. წვრთნა ჩაუტარდა ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიის სააღმზრდელო დაწესებულებების 14 პედაგოგს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 1 მაისიდან დღემდე დედაქალაქში ქვეწარმავალთა გამოჩენის 86 ფაქტი აღირიცხა. ერთ შემთხვევაში აღინიშნა შხამიანი გველი - კატისთვალა. როგორც ზოოლოგიის კვლევით ინსტიტუტში აცხადებენ, მას ადამიანის დაკბენა არ შეუძლია, რადგან შხამიანი კბილები პირის ღრუში ღრმად აქვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით უახლოეს პერიოდში ბათუმში გაიხსნება იოდიზებული მარილის მწარმოებელი ქარხანა, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილების 25 პროცენტს დააკმაყოფილებს. ასეთივე საწარმოს გახსნა უახლოეს მომავალში თბილისშიც იგეგმება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თელავი. კახეთის მრავალრიცხოვან მოქმედ ქრისიტიანულ ეკლესიებს გუშინ კიდევ ერთი - მარიამ ღვთისმშობლის სახელობის მიძინების ეკლესია შეემატა. თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში აღდგენილი ეკლესია აკურთხა ალავერდელმა მიტროპოლიტმა მამა დავითმა. ამიერიდან ეკლესია მუდმივმოქმედი იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი გურამ შარაძე საქართველოს გენერალური პროკურორისგან გამომცემლობა "დიოგენეს" მიერ ნათარგმნი და გამოცემული წიგნის - "ცვლილებები სხეულში, ცვლილებები ცხოვრებაში", "დაპატიმრებას" მოითხოვს. მისი განცხადებით, ეს წიგნი ქართველი ახალგაზრდების გახრწნას ემსახურება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერი ვანო ზოდელავა უკმაყოფილებას გამოთქვამს განათლების მინისტრის ალექსანდრე კარტოზიას მიმართ, რომელიც, მისი თქმით, ცდილობს, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მერიის მიერ გაწეული ღონისძიებები თვითონ მიიწეროს და პრეზიდენტს არასწორ ინფორმაციას აწვდის. **მედია-ნიუსი**

ისრაელის მასშტაბითაც გრანდიოზული

ზაზა ფაჩუაშვილი

გუშინ დამთავრდა ისრაელის სოციალური დაცვის მინისტრის ზეოლუნ ორლევის სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, რომელიც დატვირთული გამოდგა. ორლევმა მოინახულა ჩვილ ბავშვთა სახლი, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდი, ეროვნული სამედიცინო ცენტრი; ესტუმრა ებრაელთა დიასპორას, ბიზნესმენთა გაერთიანებას, დასაქმების ასოციაციას; შეხვდა სახელმწიფო მინისტრს და საქართველოს პრეზიდენტს.

“ეს იყო ისრაელის მინისტრის პირველი ვიზიტი საქართველოში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაღრმავების საქმეში. ჩვენ მივიღეთ მოწვევა და ისრაელს საპასუხო ვიზიტით ნოემბერში ვესტუმრებით. სწორედ მაშინ მოეწერება ხელი ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. ჩვენი წინადადებებია, რომ ვითანამშრომლოთ სოციალური დაცვის, დაზღვევის, დასაქმების, განათლების, ინსტიტუციონალური მოწყობისა და სხვა სფეროებში,”- განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ბატონმა ორლევმა საქართველოში ვიზიტს წარმატებული უწოდა. მან მაღალი შეფასება მისცა ყველა იმ სახელმწიფო პროგრამებს, რომელსაც გაეცნო და იმ სპეციალისტების ცოდნას, რომლებთანაც შეხვედრები ჰქონდა.

ეროვნული სამედიცინო ცენტრის მისამართით კი აღფრთოვანება არ დაუმალავს და თქვა, რომ “ღუდუშაურის კლინიკა” ისრაელის მასშტაბითაც კი გრანდიოზულია.

“ საქართველოში ბევრი პრობლემაა, მათ შორის სოციალური დაცვის სფეროშიც, მაგრამ თქვენი მინისტრი სწორი კურსით მიდის. ჩვენი ინტერესების სფეროში შედის მედიცინა, მასმედია, წყალი, ტურიზმი და ა.შ. მე დიდ ყურადღებას ვაქცევ ისრაელის ბიზნესმენების კაპიტალდაბანდებებს საქართველოში. მათთვის საჭიროა მხოლოდ ხელსაყრელი პირობების შექმნა, ნაკლები ბიუროკრატიული ბარიერები და შეღავათიანი საგადასახადო სისტემა. კიდევ ერთი, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა საქართველოს პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრის შემდეგ. ბატონი პრეზიდენტი დიდ ყურადღებას უთმობს ისრაელის კაპიტალდაბანდებებს საქართველოში,” – განაცხადა ორლევმა.

ისრაელის ელჩი რივკა კოენი, ამირან გამყრელიძე და ზევულონ ორლევი.

ვისია სოფელი?!

პირველი გვერდიდან

საქმრო გასპაროვების ფოტო

აგვისტო

გლეხი, მუშისგან განსხვავებით, თავს თვითონ ინახავს, დამოუკიდებელია, მისთვის ხელისუფლება უფრო ხელისშემშლელია, ვიდრე დამხმარე... სწორედ ეს ავტონომიურობა აშინებდათ უწიგნურ ბოლშევიკებს და არ მოისვენეს, სანამ მეჭირნახულე მუშასავით ფულის სალაროსთან არ მიიყვანეს; მაგრამ გლეხის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრის მოსპობით, გაქრა ქართველთა ყველაზე დამახასიათებელი თვისება - მიწაზე მუშაობის სიყვარული... არადა, ჩვენი ქვეყნის თვით სახელწოდებაშია ჩადებული მიწის განსაცვიფრებელი სიყვარულის ამბავი...

...როცა მთელი იმპერია შეტორტმანდა, ხოლო მისი, ისედაც მწირი ეკონომიკა აგონიაში ჩავარდა და შიმშილი დაგვემუქრა, ჩვენ ყველაზე საიმედო მშველელს - მიწას კი არ მივაშურეთ, ყველანი დაბარებულებივით სავაჭრო დახლებზე წამოვსკუპდით...

სოფელი კი, როგორც იყო აქობამდე ახალგაზრდობისგან დაცლილი, ასეთივე დარჩა... თოხს სასწორი ვარჩიეთ, ბარვასა და ხვნას - ქოლგის ქვეშ ჯდომა და ფენოვანის მირთმევა, ალალ ლუკმას - ქორვაჭრობით ნაშოვნი ქონება... "იქ იყიდე, აქ გაყიდე" - ვაჭრობა არ არის. ეს ძარცვაა იმ საწყლისა, რომელსაც სოფლიდან რაიონულ ცენტრში ჩასვლის გროშებიც კი არა აქვს...

...რომ იცოდეთ, მაშინ როგორ ვჩქარობდი, ასე მეგონა, სოფელს იმდენი მიაწყდებოდა, რომ ჩემი წილი მიწა არ დამრჩებოდა...

გაგონილა...

უკვე ათი წელიწადია, რაც სოფელში გადმოვსახლდი და სამეზობლოდ მოსული ჯერ არავინა ჩანს.

არადა, განა ასე ძნელი მისახვედრია - როცა ერის ღამის ნახევარი დედაქალაქში ცხოვრობს, ქვეყანა განსაცდელშია!

დღეს თბილისის სიგრძე 50 კილომეტრზე მეტია... ჩვენი პაწაწინტელა პოსტსაბჭოური ქვეყანა ვერ შეინახავს ამოდენა გიგანტქალაქს... იგი უმოწყალოდ ართმევს სოფელს ძალას - ახალგაზრდობას, უფერმკრთალებს ეროვნულს, უძლიერებს ეგოცენტრულ მისწრაფებებს...

სოფელი ერთ ოჯახად ცხოვრობს, ერთი სულისკვეთებით ეპუება ბედსა და მომავალს... სოფელი ფხიზლად ზრუნავს ყოველ ჩვენგანზე, ქალაქში, გასცდები შენს ქუჩას და აღარავინ გიცნობს - რაც გინდა, ის გააკეთე...

თუ უახლოეს დროში არ დავუბრუნდებით სოფელს, მერწმუნეთ, კვლავაც დაგვეკარგება ჩვენი ძირძველი მიწა... ხომ გსმენიათ - ცუდი შემნახველი ქურდზე უარესიაო. რომ გარბიხართ, სად გარბიხართ, ვის უტოვებთ ამ წალკოტს, ამ მშვენიერებას?! წაიღებენ, აბა, რას იზამენ...

1907 წლის კალენდრით ცხინვალში სულ შვიდიოდე ოსური ოჯახი თუ ცხოვრობდა, ახლა იქ ბატონი კოკოითი მბრძანებლობს... ცხინვალი ჩემი დედულეთის - ტყვიავის სიახლოვესაა, ცხინვალში ურემზე ვაშლის ჭამით ჩავსულვარ. კარგად მახსოვს - იგი ქართველების ქალაქი იყო... ოჯახში სუფრა არ გაიშლებოდა, ესოდენ ძვირად საშოვარი ოსიც რომ არ დაგვეპატიჟა... ოსებთან სიახლოვე, ძმობა დოყლაპიობას როდი ნიშნავს!

...ასფალტი ტალახს ჯობია, გაკრიალებული ბინა - ჭვარტლიან, გაბოლილ ქოხს, ტელევიზორის ცქერა ან "ბირჟაზე" ლაქლაქი - ბოსლის დალაგებას... მაგრამ ამ პრინციპით მომავალზე დაფიქრებულ არც ერთ ერს არ უცხოვრია და არ ცხოვრობს... ჩვენს გარდა... რამეთუ სიცოცხლის ხარისხს მისი ზნეობრივი შინაარსი განსაზღვრავს და არა მისი სიმაძღრე...

სამწუხაროდ, ქვეყანაში, რომელშიაც კაცური სიტყვა ან ულვაშის ერთადერთი ღერი გერბიან საბუთზე უფრო საიმედო იყო, დღეს ფულია ყველაზე მთავარი დოკუმენტი... ბევრი ჩვენგანი ეკლესიაში ლოცულობს, სანთელს ანთებს, გამოდის და თანამემამულეს წონაში, ზომაში ატყუებს... "ქრისტიანი" სხვაგვარად მორწმუნეს კეტით უშტიალებს და აწიოკებს...

მიწას რომ გავექეცით, სოფელი დავივიწყეთ, ამიტომ აგვიყრავდა შინა-გარე... რას ჩავდივართ, ხშირად თავად არ ვიცით...

რა არ იყიდება ჩვენს ბაზრობებზე და ეს ძალიან კარგია - როგორც იქნა, ჩვენც ვნახეთ, რაოდენ მრავალფეროვანი ყოფილა კაცობრიობის ნახელავი და მაინც, დღემდე იოლად ვერ იშოვით თოხისა თუ ცულის ტარს... რა მარკის ავტომობილი არ იყიდება და დღემდე მთელ საქართველოში არ არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თუნდაც ერთი ბაზარი...

ყველაზე ძლიერი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის ცნობიერების გმირი მწყემსია - "კოვბოი", ანუ ძროხის ბიჭი, იაპონელის - დურგალი (გაიხსენეთ, ამომავალი მზის ქვეყნის დურგალთა საყოველთაო კონკურსები), ფრანგების - მევენახე, ჩვენი... მიკროფონს ჩაბღაუჭებული, მოლაპარაკე "მომღერალი"...

დროა, შევიგნოთ - საქართველო ფილარმონია არ არის, იგი ქვეყანაა, სადაც უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური და სამხედრო პრობლემები უნდა მოგვარდეს, თანაც ფრიად მოკლე დროში... აი, ამ წუთში, როცა კითხულობთ ამ ჩემს ნაცოდვილარს, ძალიან გთხოვთ, არ დაიზაროთ და ჩართეთ თქვენი რადიო, ან ტელევიზორი...

ხომ ხედავთ, რაზეა გაუთავებელი საუბარი - გიტარაზე დაკვრის სიძნელეზე, რეპეტიციის სირთულეზე, სიმღერებზე, გრიმზე, კინოსა თუ კონცერტზე... თითქოს ქვეყანას სხვა სადარდებელ-საფიქრალი აღარა ჰქონდეს... წარმოიდგინეთ, ჩვენს რადიოში ინფორმაციის ნაკადის სიმძაფრე ხელოვნურად... შენელებულია, გაუბრალოებულია... ცეკას ტირანიის დროს ინფორმაცია, როგორც ჟანრი, მართლაც იყო გულისამრევი - "რამდენი დათესეს, რამდენი აიღეს" - ამიტომ პიკის (რა ქართულია?!) საათი, მაშინ გააზავეს სიმღერით, მუსიკით, იქნება კარგი მელოდიის წყალობით მსმენელმა არ მიგვატოვოსო... მაგრამ დღეს, როცა რუსეთი დაუფარავად გვიტევს და მასთან ინფორმაციულ ომს ასე სამარცხვინოდ ვაგებთ?..

ვერ წარმოიდგენთ, უსუსურობისა და დამცირების რა სიმწარე განვიცადე, ამას წინათ ღია ეთერში (არ მახსოვს, რომელ არხზე) რუსეთის დუმის დეპუტატი უწიგნური და დემაგოგი ალქსნისი რომ მოგვევლინა... რა უმწეო იყო ჩვენი ტელევიზიის წამყვანი, როგორი რიხით "გადაგვიარა" მოსკოველმა... და ამ დროს, როცა ერთი სული მაქვს, გავიგო, რა თქვა ცივსისხლიანმა ჩუბაისმა, გადაცემის რეჟისორი მთავაზობს მელოდიებს "ქეთო და კოტედან", ან საეჭვო მხატვრული ღირებულების და უფრო საეჭვო შესრულების სიმღერას "ჩემთან თუ დაჯდები, შემიყვარდები"... ეს პიკის საათი კი არ არის, ეს დამუხრუჭებისა და გაჩერების საათია...

... დიახ, სილამაზე, მშვენიერება გადაარჩენს ქვეყანას... ადამიანი ლამაზია, როცა ბარავს, თესავს და მკის, როცა თავის ბეღელს ავსებს ხორაგითა და ბარაქით, როცა მშობლიური ქვეყნის ჯარში გულანთებული მსახურობს, როცა თავად ეძებს მშიერს, რომ დააპუროს, როცა სამშობლო ყველაფერზე მეტად უყვარს, როცა სხვაზე ზრუნვით თეთრდება და ბერდება... აი, ასეთ მშვენიერებაზეა ლაპარაკი, ასეთი სილამაზე ჰქონდა მხედველობაში გენიალურ მწერალს... სწორად გამიგეთ, სულის მოსათქმელად ტან-ფანდურიც და "მთვარის სონატაც" კარგია, მაგრამ იგი მთავარი არ უნდა იყოს!

...უწიგნურ დროში რადიო-ტელევიზიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ხალხი ინფორმაციას მხოლოდ ელექტრონული საშუალებით ღებულობს... ნახევრად მშიერმა თუ უნიჭო მასწავლებლებმა კითხვა დაგვავიწყეს - ხუთმილიონიან ქვეყანაში გაზეთი წონით რომ გაიყიდება (საკუთარი თვალით ვნახე გორის ბაზარზე, ბევრი თავმომწონე გაზეთი კილო ათ შაურად)... ამიტომ რადიომ და, მით უმეტეს, ტელევიზიამ გართობაზე კი არ უნდა იზრუნოს, არამედ ქვეყნის შენებაზე... საერთოდ, გართობა, კარგ გუნებაზე ყოფნა ცირკის ანდა სულაც საროსკიპოს საქმეა... ჩვენმა რადიო-ტელევიზიამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს თანამედროვე ტელეჟურნალისტიკის წამყვანი ჟანრები, მკვეთრად გააფართოოს მაუწყებლობის თემატიკა, მთელი თავისი პოტენციალი მოახმაროს მხოლოდ ერთს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს - გაათავისუფლოს გონება საბჭოური მარწუხებისაგან და ვინც ამაში ხელს შეუშლის, აუცილებლად გამოამზეუროს...

მევენახეზე ან მებოსტნეზე გადაცემა რომ გააკეთო და მისი ეთერში გასვლის შემდეგ ბევრს მოუნდეს მევენახეობა თუ მებოსტნეობა, უპირველესად თავად უნდა ერკვეოდე სოფლის მეურნეობაში, თორემ ერთ ახალგაზრდა ჟურნალისტს შევეკითხე - მოსავლის აღებამდე ქერი რამდენჯერ უნდა მოითოხნოს-მეთქი და ორიც ეყოფაო - სერიოზულად მიპასუხა... კარგი გადაცემის გაკეთება ძნელია, მის ხარისხს თემატიკა კი არ განსაზღვრავს, არამედ ავტორის ნიჭი და განათლება... ამიტომაც ერიდებიან აქტუალურ თემატიკას, ჟურნალისტიკის სხვადასხვა ახალ ფორმებსა და ჟანრებს... თორემ, ვთქვათ რამაზ ჩხიკვაძეს, ანდა მერაბ ბერძენიშვილს ჟურნალისტის ნიჭიერება რად უნდათ, ისინი თავად არიან სასწაული. დასვი კამერის წინ და მაყურებელი, მერწმუნეთ, ამაშიც მადლობას გეტყვით...

...პარტნომენკლატურას, მათ შთამომავლობასა და ნაშიერებს სულაც არ უნდათ აფორიაქება. მათ სავსებით აძლევთ ხელს პრიმიტიული, სალონური რადიოტელეჟურნალისტიკა. პოლიტიკური მწვავე პრობლემატიკა, შესვლა, შეღწევა ჩვენი ყოველდღიურობის ღრმა შრეებში, მკვეთრად გაზრდის ხელისუფალთა პასუხისმგებლობის არეალს, ეს კი მათი უშფოთველი, მაძღარი "სტაბილიზაციისათვის" ვაი, რო ძალიანაც საბიფათოა...

ისე, აფორიაქება, აყალმაყალი, გაწევ-გამოწევა არც მე მინდა...

ჰოდა, მშვიდად, წყნარად ავიბარგოთ და როგორც ჩამოვედით, ისე დავუბრუნდეთ მიტოვებულ სოფლებს, მშობლიურ კარმიდამოს, ბაღებს, ჭალებსა და მინდვრებს...

მოდით, ნახეთ, მარტოკინა ბებერმა რა ბაღი გავაშენე, რა მოსავალი მომყავს, თქვენც რომ ჩამოხვალთ, ერთად რომ ვიქნებით, რაღას გავაკეთებთ!

მოკლედ

უპრეცედენტო კოსმიური მოვლენა

წუხელ 01 საათსა და 51 წუთზე უპრეცედენტო კოსმიური მოვლენა მოხდა. ჩვენი ცივილიზაციის ისტორიაში პირველად ორი პლანეტა - დედამინა და მარსი ყველაზე ახლო მანძილზე – 55 მილიონ 758 ათას კილომეტრზე მიუახლოვდნენ ერთმანეთს. ეს დისტანცია, კოსმიური გაგებით, ძალზე მოკლე მანძილად ითვლება. უკანასკნელ ხანებში მარსი დედამიწასთან ასე ახლოს, 59618 წლის წინათ მივიდა. ანალოგიური შემთხვევა კი, 23698 წლის შემდეგ განმეორდება.

დღეს კიდევ ერთი და არანაკლები კოსმიური მოვლენა მოხდება: მარსი დედამიწის და მზის გასწვრივ ერთ ხაზზე აღმოჩნდება. ამ დროს მარსი თავისი სიკაშკაშით მხოლოდ მთვარეს ჩამორჩება, ხოლო ჩვეულებრივ ყველაზე მეტად განათებული პლანეტების - ვენერას და იუპიტერის სიკაშკაშე კი, მარსის ფონზე აღარ გამოჩნდება.

მათ, ვისაც მარსისა და დედამიწის დაახლოება აშინებთ, ასტრონომები არწმუნებენ, რომ ეს მოვლენა დედამიწელებზე არავითარ უარყოფით გავლენას არ მოახდენს. ამერიკელი ასტროლოგების თქმით, დედამიწას ამ პერიოდში არ ემუქრება არც მიწისძვრები, არც ცუნამები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები, ყოველ შემთხვევაში ამ კოსმიური მოვლენის შედეგად.

წითელი პლანეტა ყველაზე უკეთ გერმანიის ტერიტორიიდან ჩანს, სადაც მსოფლიოს ასტრონომები უკვე ჩასულები არიან.

ბანდებმა აშშ-ის დიდი ქალაქი - ჩიკაგო მკვლელობის დედაქალაქად აქციეს

ორი წლის წინ, დედის დღეზე, ოცი წლის ჯაისონ ჰარვიმ სადილზე დედას მისი საყვარელი ნუგბარი მიუტანა – ღორის ხორცი, ტკბილი კარტოფილი, შვრიის პური, მაკარონი და ყველი.

იმ დღეს მათ უკანასკნელად ისადილეს ერთად.

მეორე დილით ჯეისონ ჰარვის ოთხჯერ ესროლა 16 წლის ბიჭმა, რომელიც ბანდის წევრი იყო. ჰარვი მორიგი მსხვერპლი იყო ჩიკაგოს მკვლელობების სტატისტიკაში. ჩიკაგოში მომხდარმა მკვლელობებმა 2002 წელს 646 შეადგინა, ხოლო 2001 წელს ეს ციფრი – 666 იყო. წელს კი პირველი იანვრიდან 22 აგვისტომდე ჩიკაგოში 384 მკვლელობა მოხდა. ნიუ-იორკში კი, რომლის მოსახლეობაც ჩიკაგოს ორნახევარჯერ აღემატება ბოლო ორი წლის განმავლობაში გაცილებით ნაკლები მკვლელობა მოხდა.

გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, აშშ-ში მკვლელობათა რიცხვი გასულ წელს მცირედით გაიზარდა. უმსხვილეს ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის აშშ მკვლელობების რეიტინგით პირველ ადგილზეა.

ჩიკაგოში კი მკვლელობების მაღალი რეიტინგის მიზეზს ყველა ეთანხმება –ბანდების დიდი რაოდენობა, იარაღი და ნარკოტიკები. ბანდები ნარკოტიკების მოძრაობას მთელი ქალაქის მასშტაბით აკონტროლებენ.

“უდიდესი პრობლემა რაც ჩიკაგოს აწუხებს, ეს ბანდების თარეშია,” განაცხადა პოლიციის ოფიცერმა ტომ გარიტმა, რომელიც ჩიკაგოს ერთ-ერთ ყველაზე კრიმინალურ უბანში პოლიციის მანქანით პატრულირებს.

აღიარებულია, რომ ჩიკაგოს 60 ათასი მცხოვრებელი ბანდების წევრები არიან, ხოლო მკვლელობების 60 %-ზე მეტი კი, სწორედ ბანდებს შორის გარჩევებს უკავშირდება.

ამბროზი ლარაზიას წინააღმდეგ

ჩიკაგოს ბრწყინვალე სეარს ტაუერიდან სამ მილზე (ხუთი კილომეტრი) ნაკლებია პილზენამდე, რომლის მახლობლადაც ბანდის წევრები დანგრეულ შენობებს შორის თარეშობენ. ამ ადგილას შვიდი წლის გოგონა დაიღუპა. მანქანამ გადაუარა, რომელსაც მეორე მანქანიდან ესროდნენ.

სამხრეთ კუნძულის ავენიუსა და მე-16 ქუჩის გვერდით გაკეთებული წარწერა - A, ნიშნავს იმას, რომ ეს ტერიტორია ამბროზიის მფლობელობაშია. ეს არის ქალაქში მოქმედი ესპანურენოვანი უმსხვილესი ბანდა. ის, ვინც არ არის ამ ბანდის წევრი და ცდილობს ამ ტერიტორიაზე ნარკოტიკის გაყიდვას, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს. **“მკვლელობის ძირითადი მიზეზი ბანდებს შორის კონკურენციაა”** ამბობს გარიტი. ის ხელს უქნევს ორ თინეიჯერს, რომლებიც წითელ, თეთრ და მწვანე ფერებში არიან გამოწყობილები. **“ესენი ლარაზიას წევრები არიან. ეს კი ლარაზიას ფერებია,”** აცხადებს ოფიცერი კრის კანტორი, რომელიც ასევე მანქანით პატრულირებს.

ჯეისონ ჰარვი, რომელიც მკვლელობამდე სამჯერ იყო დაპატიმრებული, და მისი მკვლელი ბიჭი ჩიკაგოში გამეფებული მკვლელობის ტიპური მსხვერპლნი იყვნენ – ახალგაზრდა შავკანიანი ან ესპანელი.

ჩიკაგოში მკვლელთა 72% და მსხვერპლთა 74% შავკანიანები არიან და თავდამსხმელთა 20% და მსხვერპლთა 18.1 % კი ესპანურენოვნები. ასეთია პოლიციის მონაცემები 2003 წლის ექვსი თვსი მანძიზლე.

ყველა ერთამენთს ადანაშაულებს

ჩიკაგოში გამეფებული მკვლელობების მაღალი მაჩვენებელი ხალხის უკმაყოფილებას იწვევს და ისინი მოქმედებას ითხოვენ.

პოლიციის ოფიცრები აცხადებენ, რომ ქალაქში მეტი პოლიციელია საჭირო და კანონი ბანდის წევრების მიმართ უნდა გამკაცრდეს. ასევე არ არსებობს სპეციალური სადაზვერვო ჯგუფები, რომლებიც ბანდების შიგნით იმოქმედებენ. ამის თაობაზე შტატის პროკურორის ოფისის ბანდებთან ბრძოლის განყოფილების უფროსი ბრაიან სიქსტონი აცხადებს. ჩიკაგოს მერის რიჩარდ დეილის მრჩევლის კრიმინალურ საკითხებში მატ კროვლის აზრით კი, პრობლემის მიზეზი იმაშია, რომ ქალაქში ბევრი უკონტროლო იარაღია.

ჯეისონ ჰარვის ორი წლის შვილი დარჩა და ევანსი, ჯეისონის დედა თავისი შვილიშვილის უკეთეს მომავალზე ოცნებობს. **“როდესაც ის 15 წლის გახდება, მე იმედი მაქვს, რომ სიცოცხლე ჩიკაგოს ქუჩებში უფრო ძვირფასი გახდება,”** ამბობს ჯეისონის დედა.

როიტერი

არაფატი პალესტინაში სამოქალაქო ომს არ დაუშვებს

“მე მზად ვარ, ბოევიკების მიმართ კანონი გამოვიყენო იმ პირობით, თუკი ისრაელი პალესტინელებზე თავდასხმებს შეწყვეტს,” - განუცხადა იასირ არაფატმა სააგენტო “როიტერის“ კორესპონდენტს. პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურს არ დაუკონკრეტებია, თუ რა ზომების გამოყენებაზეა საუბარი. ამასთანავე, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისეთი ნაბიჯების გადადგმას არ აპირებს, რაც პალესტინელებს შორის ურთიერთობებს საფრთხეს შეუქმნის და სამოქალაქო ომის გაჩაღებას შეუწყობს ხელს. არაფატმა დასძინა, რომ სამი წლის მანძილზე, რაც პალესტინური ინტიფადა დაიწყო, მას არაერთხელ გაუცია ბრძანება “ჰამასის” და სხვა რადიკალური შეიარაღებული დაჯგუფებების მებრძოლთა დაპატიმრებების შესახებ. არაფატმა განაცხადა, რომ ის ამის გაკეთებას მომავალშიც აპირებს, მაგრამ არ სურს, რომ ასეთი ნაბიჯებით საყოველთაო პალესტინური მღელვარება გამოიწვიოს, რადგანაც ისრაელი თავის სამხედრო ოპერაციებს პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ კვლავ აგრძელებს.

პალესტინის ლიდერმა დაადასტურა, რომ მზად არის, იმოქმედოს სამშვიდობო გეგმის “საგზაო რუკის” პირობების თანახმად. მან ვაშინგტონს მოუწოდა, რომ თეთრმა სახლმა გავლენა მოახდინოს ისრაელზე რეგიონში მშვიდობის დამყარების მიზნით.

REUTERS

პალესტინაში დაძაბულობა პიკს აღწევს.

”საგზაო რუკა” ისრაელს არ ეხება? ჩვენ ბევრჯერ გავიკონტროლებია ვითარება. მხედველობაში მაქვს ჩვენს მიერ მიღწეული წარმატება მშვიდობის დამყარების მიზნით, მაგრამ ეს შეთანხმება მრავალჯერ დაირღვა ყველაზე უხეში ფორმებით, თავად ისრაელის პოლიტიკური და სამხედრო მოქმედების წყალობით,” - განაცხადა იასირ არაფატმა.

ოფიციალური თელ-ავივი საპირისპიროს ამტკიცებს. ისრაელის ხელისუფლების თქმით, მათ უბრალოდ არჩევანი აღარ აქვთ, რადგან პალესტინელმა მებრძოლებმა, რომლებმაც ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადეს, ეს შეთანხმება თავადვე დაარღვიეს და კამიკაძე-ტერორისტების გამოყენებით ისრაელის ტერიტორიაზე სისხლიანი ტერაქტები განახორციელეს. ამასთან ერთად, ისრაელის სამხედრო დანაყოფები აგრძელებენ პალესტინური ტერიტორიების მკაცრ კონტროლს და მასშტაბური რეიდების განხორციელებას პალესტინური რადიკალური ჯგუფების წინააღმდეგ.

ისრაელის ამ პოლიტიკას დაუპირისპირდა პალესტინის პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასიც, იგივე აბუ მაზენი. მან დაგმო ისრაელის არმიის მიერ ჩატარებული ოპერაციები, რაც, მისი თქმით, ძალადობის ესკალაციას უწყობს ხელს.

ტერაქტი დაღესტანში

გუშინ, დილით დაღესტნის დედაქალაქ მახაჩყალას ცენტრში დაღესტნის ნაციონალური პოლიტიკის, საგარეო ურთიერთობების და ინფორმაციის მინისტრის ავტომანქანა აფეთქდა, რასაც მანქანაში მჯდომი მინისტრის დაღუპვა მოჰყვა. სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა მინისტრის მძღოლი. მან მხოლოდ მძიმე, მაგრამ არასასიკვდილო ჭრილობები მიიღო.

სააგენტო “ინტერფაქსის” ცნობით, მინისტრის მკვლელობა, შესაძლოა, რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების მიერ იყოს ორგანიზებული. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ დაღუპულ მინისტრს მოგომედსალიჰ გუსაევს ჯერ კიდევ 1999 წელს “დაღესტნისა და ჩეჩნეთის სახალხო შურამ” სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მაგომედსალიჰ გუსაევს დაღესტნის ნაციონალური პოლიტიკის, საგარეო ურთიერთობების და ინფორმაციის მინისტრის პოსტი ათი წლის მანძილზე ეკავა.

ეს გუსაევზე მეორე თავდასხმა იყო, რომელიც ამჯერად წარმატებით დასრულდა. ორი წლის წინ, მისი სახლის სადარბაზოსთან ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედეს, რის შედეგადაც მინისტრმა კონტუზია და რამდენიმე ჭრილობა მიიღო.

REUTERS

ტერაქტის შედეგად აფეთქებული ავტომანქანა.

დაღესტნის ხელისუფლების წარმომადგენლები გუშინდელ ტერაქტს პოლიტიკური მკვლელობის შეფასებას აძლევენ. **“მე ვთვლი, რომ ეს არა მარტო დაღესტნის, არამედ მთელი ქვეყნის გამოწვევაა,”** - განაცხადა დაღესტნის პარლამენტის თავმჯდომარემ მუსა ალიევმა. სამართალდამცავმა ორგანოებმა მომხდარის გამოძიება უკვე დაიწყეს. სისხლის სამართლის საქმე სამი მუხლით არის აღძრული: გამიზნული მკვლელობა, სახელმწიფო მოღვაწეზე თავდასხმა და ტერორიზმი.

ყირგიზეთში ლენინი დაამხეს

ლეილა სარალაევა
IWPR

ბიშკეკელი კომუნისტები ქალაქის ცენტრალური, ალატუს მოედნიდან ლენინის ძეგლის გატანის ცნობას საშინელი აღშფოთებით შეხვდნენ.

რამდენიმე ათეული დემონსტრანტი გამოვიდა ქუჩებში საბჭოთა კავშირის დროშებითა და ლოზუნგებით - "ხელები შორის ლენინისაგან". ისინი ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ მუშებისათვის, რომლებიც ძეგლს ხსნიდნენ.

კომუნისტურმა პარტიამ სასამართლოში უჩივლა პრემიერ-მინისტრ ტენაევს. მან ხელი მოაწერა ყირგიზეთის სახელმწიფოებრიობის 2200 წლის აღსანიშნავ ღონისძიებათა ნუსხას, რომელიც ცენტრალური მოედნიდან ლენინის ათტონიანი მონუმენტის გატანასაც ითვალისწინებს.

ისინი აცხადებენ, რომ პრემიერის ქმედება ეწინააღმდეგება პრეზიდენტის განკარგულებას, რომელიც აცხადებს, რომ ძეგლი "ისტორიული მონუმენტია" და მას სახელმწიფო იცავს.

ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოქმნილი დაპირისპირება ნელ-ნელა გამწვავდა. ყირგიზეთის ცკ-ს ყოფილმა პირველმა მდივანმა, ამჟამად კი დეპუტატმა უსუბალიევმა, ძეგლის დემონტაჟის გამო, მთავრობის გადადგომა მოითხოვა. "მთავრობას, რომელიც ხალხის ნებასა და კონსტიტუციას უგულებელყოფს, არსებობის უფლება არა აქვს," – განაცხადა მან.

მთავრობამ კრიზისის განმუხტვა იმით სცადა, რომ ხელოვნების მუშაკები დაიქირავა, რომელთაც განაცხადეს: ქანდაკება არქიტექტურის კანონებს არღვევს, და ამის გარდა, "ჯანმრთელობისათვის საშიში მეტალებისაგან" არის აგებული.

REUTERS

ყირგიზეთში საბჭოთა კავშირის დამაარსებელს პატივს სცემენ, მაგრამ ძეგლი მაინც მოხსნეს.

გარდა ამისა, მთავრობა ამბობს, რომ იგი ქანდაკებას სხვა ადგილას გადაიტანს და, "კომპენსაციის სახით", ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანს ლენინის სახელს დაარქმევს.

თუმცა, კომუნისტებისათვის ეს საკმარისი არ არის. კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, კლარა აჯიბეკოვა ამბობს: "როგორც კი დავინახეთ, რომ მუშებმა ძეგლის ირგვლივ ხარაჩოები დადგეს და მას მატერია ჩამოაფარეს, მაშინვე დავეჭვდით, რომ მათ რაღაც ცუდი ედოთ გულში. მაგრამ, ხელისუფლებამ დამარწმუნა, რომ ძეგლს მხოლოდ არემონტებდნენ".

ქალაქის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ძეგლს შეაკეთებს და სხვა ადგილას გადაიტანს. მის ადგილას კი თავისუფლების ქანდაკება აღიმართება, რომელსაც მფრინავი ქალის გამოსახულება ექნება.

მაგრამ კომუნისტები ამ ამბავს "უკანონოდ, ცინიკურად და უზნეოდ" მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ბრძოლას განაგრძობენ.

"ვინ მისცა პატარა ყირგიზეთს სახელმწიფოებრიობა? – ბობოქრობს მიტინგზე აჯიბეკოვა, - ასეთი პიროვნების დამხობა, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა ყირგიზი ხალხისათვის, ეროვნული სირცხვილია".

"ძეგლის მოხსნით, ჩვენ დარტყმას ვაყენებთ რუსეთს და ქედს ვიხრით ამერიკის წინაშე, რადგან ლენინის მაგივრად თავისუფლების ქანდაკების ყირგიზურ ვარიანტს ვდგამთ," – განაგრძობს იგი.

კომუნისტების ერთ-ერთმა ლიდერმა ამ ყველაფერს თავისი ახსნა მოუძებნა. მისი თქმით, ძეგლის ქვეშ უზარმაზარი თავშესაფარია განლაგებული, მთავრობას კი მისი სავაჭრო ცენტრად გადაკეთება და გაყიდვა სურს.

ხელისუფლება აცხადებს: ძეგლის მოხსნა არ ნიშნავს, რომ იგი საბჭოთა კავშირის დამაარსებელს პატივს არ სცემს. "ლენინმა ბევრი რამ გააკეთა ყირგიზი ხალხისათვის. ამას არავინ უარყოფს. მთავრობამ გადაწყვიტა, მისი ძეგლი ღირსეულ ადგილას გადაიტანოს," – ამბობს ბიშკეკის ცენტრალური რაონის, პერვომაისკოეს ხელმძღვანელი.

ლენინის დამხობის საქმეში მთავრობას მოულოდნელი მხარდამჭერი გამოუჩნდა არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების" სახით, რომლის ლიდერიც აცხადებს, რომ დიქტატურისა და ძალადობის გარდა, ლენინს ყირგიზებისათვის არაფერი გაუკეთებია.

"ამ ქვეყანაში ლენინის 4000 ძეგლი დგას. ცოტა ბევრი ხომ არ არის იმ კაცისათვის, რომელსაც ყირგიზეთში ფეხი არასოდეს დაუდგამს და თავის შრომებში ეს ქვეყანა ერთხელაც არ უხსენებია?" – ამბობს საზოგადოების თავმჯდომარე ედილ ბაისალოვი.

"ყირგიზეთში ლენინის ძეგლის არსებობა იგივეა, გერმანელებს რომ ჰიტლერის ძეგლები დაეტოვებინათ. ფაშიზმი და კომუნიზმი ერთმანეთზე უარესები არიან. თუ ჩვენ თავისუფალი საზოგადოების მშენებლობა გვინდა, ასეთი ძეგლები უნდა მოვაშოროთ," – ამბობს იგი.

ამ უჩვეულო დაპირისპირებამ ხელისუფლების ზოგიერთი წევრებისაგან უფრო ცინიკური გამოხმაურებაც დაიმსახურა. დეპუტატ სადირბაევის თქმით, თუ მთავრობას ლენინი არ მოსწონს, ურჩევნია მხოლოდ მისი თავი მოაშოროს. ამგვარად, ყოველი ახალი პრეზიდენტი შეძლებს ძეგლს თავისი თავი დაადგას. "წარმოიდგინეთ, რამდენი ფული დაიზოგება ამით?" - კითხულობს იგი.

გამდიდრებული ურანის ნაკვალევი ირანში

ჰირველი გვერდიდან

ირანი ამტკიცებს, რომ ბირთვული ტექნოლოგიების განვითარება მას მხოლოდ მშვიდობიანი, ენერგეტიკული მიზნებისათვის სურს.

ინსპექტორების აღმოჩენის საპასუხოდ, ირანმა განაცხადა, რომ გამდიდრებული ურანის ნაკვალევი შემორჩენილი იყო იმ მოწყობილობაზე, რომელიც მან დიდი ხნის წინ, მესამე ქვეყნებისაგან შუამავლების მეშვეობით შეიძინა.

აქამდე თეირანი აცხადებდა, რომ მთელი ბირთვული აპარატურა, მათ შორის - ურანის გასამდიდრებლად საჭირო გაზის ცენტრიფუგები, რომელზეც კვალი აღმოჩნდა, ადგილობრივი წარმოებისა იყო.

ირანელები არ ამხელენ, რომელი ქვეყნიდან შეიძინეს ხსენებული ცენტრიფუგები, თუმცა ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, რომ მათი წყარო მხოლოდ ერთი ქვეყანა – პაკისტანი შეიძლება იყოს.

მათი თქმით, პაკისტანმა, როგორც ირანის, ისე ჩრდილოეთ კორეის, ბირთვულ პროგრამებს დიდი დახმარება გაუწია. ისლამაბადი ამ ბრალდებებს გადაჭრით უარყოფს.

ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ საერთაშორისო ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა ბოლო თვეებში, როდესაც ირანულმა ოპოზიციურმა დაჯგუფებებმა ქვეყანაში არსებული საიდუმლო ბირთვული ობიექტების შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია. ამ ინფორმაციის ნაწილი დადასტურდა.

შემდგომი ბრალდებების თავიდან ასაცილებლად, ირანმა გააქტიურა თანამშრომლობა გაერო-ს ატომურ სააგენტოსთან და მისი ინსპექტორები რამდენიმე აქამდე აკრძალულ ობიექტზე დაუშვა. ეს ფაქტი ხსენებულ მოხსენებაშიცაა აღნიშნული. თეირანი აცხადებს, რომ იგი ხელს მოაწერს იმ პროტოკოლსაც, რომელიც ინსპექტორებს ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადგილის შემოწმების საშუალებას აძლევს.

ამჟამად ირანის ბირთვული პროგრამა ყველაზე დიდ დახმარებას რუსეთიდან იღებს. როგორც ცნობილია, რუსები ატომურ ელექტროსადგურს ქალაქ ბუშერში აშენებენ. ამერიკელები შიშობენ, რომ ამ გზით ირანელი მეცნიერების ხელში ატომური ბომბის შესაქმნელად საჭირო ინფორმაციაც მოხვდება.

პეკინში ექვსმხრივი შეხვედრა დაიწყო

შოთა უტიაშვილი

გუშინ პეკინში ბირთვულ კრიზისთან დაკავშირებით ექვსმხრივი მოლაპარაკებები დაიწყო. შეხვედრა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვანგ იიმ გახსნა. მან იმედი გამოთქვა, რომ დიალოგი ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის გადაჭრას.

მოლაპარაკებებში ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ კორეა, იაპონია, ჩინეთი, ამერიკა და რუსეთი მონაწილეობენ

საუბრის ერთადერთ თემას ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კრიზისი წარმოადგენს. ფხენიანმა განაახლა მცდელობები ატომური იარაღის შესაქმნელად და ამას იგი აღარც მალავს. მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს ბირთვული პროგრამის შეწყვეტის საკითხს, თუ ამერიკა უშიშროების გარანტიებს მისცემს.

მოლაპარაკებების პირველი დღის დასრულების შემდეგ, რუსეთის წარმომადგენელმა მოლაპარაკებებზე, ლოსიუკოვმა განაცხადა, რომ მხარეებმა იმდენად ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნები წაუყენეს ერთმანეთს, რომ კომპრომისის შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს.

თავად ამერიკა აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეის ნდობა არ შეიძლება, რადგან მან უკვე მსგავსი ოთხი ხელშეკრულება დაარღვია. ვაშინგტონის თქმით, თითოეული დარღვევის შემდეგ სტატუს კვოს აღდგენისათვის, ფხენიანი სულ უფრო მეტ დათმობებს მოითხოვს. ამერიკა სახელმწიფოს სიტყვის გატეხვისათვის არ დაჯილდოებს და თავს აღარ გაასულელებინებს, – აცხადებს ვაშინგტონი.

მოლაპარაკებების დაწყების წინ შესამჩნევად პრომამერიკული პოზიცია დაიკავა რუსეთმა. სულ რამდენიმე დღის წინ, რუსეთის წყნარ-ოკეანურმა ფლოტმა კორეასთან ახლოს სამხედრო წვრთნები ჩაატარა, რომლის ერთ-ერთი ლეგენდაც ჩრდილოეთ კორეიდან მომავალი ატომური ბომბით შიარაღებული გემის შეჩერება იყო. ამ მანევრებმა ფხენიანი აღაშფოთა. ამერიკელი ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთის პოლიტიკა, რომელიც ერაყის ომის დროს მკვეთრად გამოხატულ ანტიამერიკულ ხასიათს ატარებდა, კიდევ ერთხელ შემობრუნდა და ახლა საკმაოდ პრომამერიკულია. ზოგიერთი ექსპერტის აზრით,

This is to announce two public meeting to hear views and concerns from affected parties, local administrators and national and international NGOs on the potential financing of the Baku – Tbilisi – Ceyhan pipeline, the South Caucasus pipeline and associated projects. These meetings will occur in

Borjomi, September 8th at 930, Composers House Hotel
Tbilisi, September 11th at 930, Metekhi Palace Hotel

The international lenders, International Finance Corporation of the World Bank Group and the European Bank for Reconstruction and Development that this is a Safe, Fair Sustainable project. These meeting are an opportunity for them to hear directly from the public before making recommendations to their Boards regarding funding for the pipeline.

Aithough this meeting is open to the public, space is limited. Groups will be asked to send just one representative. more information can be obtained by contacting **Maia Imedadze. tel: 893 93-26-85, cdr-maya@yahoo.com.**

დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი ნავთობსადენის შესახებ

ვაცხადებთ ორ საჯარო შეხვედრას ბაქო – თბილისი – ჯეიჰანის მილსადენის, სამხრეთ კავკასიის მილსადენისა და მათთან დაკავშირებული პროექტების პოტენციური დაფინანსების თაობაზე. მოსაზრებებისა და შეხედულებების მოსასმენად ყველა დაინტერესებული მხარის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, საქართველოს და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისგან აღნიშნული შეხვედრები შედგება:

8 სექტემბერს, ბორჯომში, კომპოზიტორების სახლში, 9.30 საათზე.
11 სექტემბერს, თბილისში, “მეტეხი ოტელ პალასში”, 9.30 საათზე.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები - მსოფლიო ბანკის ფინანსური კორპორაცია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მონადინებულები არიან, დაარწმუნონ თავიანთი დირექტორთა საბჭოები, რომ ეს პროექტი არის უსაფრთხო, მდგრადი განვითარების პერსპექტივის მქონე და ემყარება სამართლიანობის პრინციპებს. აღნიშნული შეხვედრების საშუალებით ისინი შეძლებენ, უშუალოდ მოისმინონ საზოგადოებრიობის აზრი, ვიდრე რეკომენდაციებს წარუდგენენ საბჭოებს მილსადენის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული შეხვედრები საზოგადოებისთვის ღიაა, მაგრამ დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდულია ტექნიკური მიზეზების გამო და ამიტომ ორგანიზაციებს ვთხოვთ, გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით
მაია იმედაძეს. ტელ: 893 93-25-85.
cdr-maya@yahoo.com

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი შეხვედრები.

სპარტა (ჩეხეთი) - ვარდარი (მაკედონია) 2:2
ჩელსი (ინგლისი) - ჟილინა (სლოვაკეთი) 3:0
ვისლა (პოლონეთი) - ანდერლეხტი (ბელგია) 0:1
დეპორტივო (ესპანეთი) - რუსენბორგი (ნორვეგია) 1:0
ლოკომოტივი (რუსეთი) - შახტარი (უკრაინა) 3:1
ცსკა (ბულგარეთი) - გალათასარაი (თურქეთი) 0:3
კოპენჰაგენი (დანია) - რეინჯერსი (შოტლანდია) 1:2
აეკი (საბერძნეთი) - გრასჰოპერსი (შვეიცარია) 3:1
აიაქსი (ჰოლანდია) - გრაცი (ავსტრია) 2:1
ბორუსია (დ. გერმანია) - ბრიუგე (ბელგია) 2:1
სელტიკი (შოტლანდია) - მტკ (უნგრეთი) 1:0
დინამო (ზ. ხორვატია) - დინამო (კ. უკრაინა) 0:2
ნიუკასლი (ინგლისი) - პარტიზანი (სერბეთი) 0:1
სლავია (ჩეხეთი) - სელტა (ესპანეთი) 2:0
მარსელი (საფრანგეთი) - აუსტრია (ავსტრია) 0:0
ბენფიკა (პორტუგალია) - ლაციო (იტალია) 0:1

ვიქტორია ვიქტორიაზე

ბექჰემების ერთთვიან ხეტიალს და მადრიდში ბინის ძებნას წერტილი დაესვა. ცოლის პატივსაცემად დევიდ ბექჰემმა ვიქტორიას ქუჩაზე მდებარე ერთი შესანიშნავი სახლი შეარჩია საცხოვრებლად. ასეთი სახლი მადრიდში სულ ექვსი ყოფილა. გარდა იმისა, რომ ბექჰემებს კორტზე ჩოგბურთის თამაში, აუზში ბანაობა და გოლფის თამაში შეეძლებათ, მათ განკარგულებაში იქნება 2,7 აკრის ფართის ტყე, რომელშიც, ალბათ, სიამოვნებით გაისეირნებენ. ეს, რაც შეეხება სახლის გარეთ ტერიტორიას. თავად სახლში კი ცოლ-ქმარს ოთხი აბაზანიანი საძინებლიდან ერთ-ერთის არჩევა მოუწევთ, რადგან დანარჩენებს, როგორც დევიდი ამბობს, სტუმრებს დაუთმობენ ხოლმე. მიღებით კი მათ საგანგებოდ ამისთვის გამოყოფილ ორ ოთახში მიიღებს. თუმცა, იმასაც ამბობს, რომ ვიქტორიას ახალ-ახალ ოთახებში ცხოვრება მოსწონს და არაა გამორიცხული, დროთა განმავლობაში ოთხივე საძინებელი გავსინჯოთო. ოთხ საძინებელს ემატება ორი კაბინეტი, საგანგებო ოთახი ვიქტორიასთვის, რომელიც ხმის ჩამხშობი სისტემებით იქნება მოწყობილი. ადვილი მისახვედრია, რისთვის უნდა დასჭირდეს "სპაის გერლს" ასეთი ოთახი. ფეხბურთელის თქმით, ამ ოთახში ვიქტორიას შეუძლია, მშვიდად გაიაროს რეპეტიციები - არც ოთახიდან გამომავალი ხმა შეაწუხებს ვინმეს და არც თავად ვიქტორია შეწუხდება ხმაურით. თუმცა, სიტყვა "ხმაური" აქ ერთგვარად პირობითად არის ნახმარი. გარდა იმისა, რომ სახლი გზიდან კარგა მოშორებითაა და გარშემო ტყე აკრავს, არასაფრენ ზოლშია განთავსებული, რადგან მეფის სასახლის მეზობლად დგას.

ბუნებრივია, ბავშვებს, თავთავიანთი საძინებლები აქვთ. არის კიდევ ორი ოთახი - ერთი სათამაშო და ერთიც სასწავლო, ძირითადად, ბრუკლინისთვის.

ასე და ამგვარად, თუ ანგარიშში არ შევცდი, 13-ოთახიანი ბინა გამოვიდა. ალბათ, ისიც გაინტერესებთ, ყველაფერ ამაში ბექჰემებს რამდენის გადახდა მოუწევს? თვეში სულ რაღაც 32 000 გირვანქის. ადამიანისთვის, რომელსაც ყოველკვირეულ გასამრჯელოდ 120 000 გირვანქა აქვს, 32 000, მართლაც, "სულ რაღაცაა". სახლის ღირებულება ხუთ მილიონ გირვანქას აღწევს, მაგრამ იყიდიან თუ არა მას ბექჰემები, ჯერჯერობით არ გადაუწყვეტიათ. ჯერ ვნახოთ, მოგვეწონება თუ არა აქ ცხოვრება. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ვიყიდით. გადაწყვეტილი გვაქვს, მადრიდში ერთი სახლი ვიყიდოთ და, კარგი იქნება, თუ ეს ის სახლი იქნებაო.

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 28 აგვისტო

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. მესამე შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩი. "დინამო" (ხორვატია) - "დინამო" (უკრაინა)
15:00 "დარტყმა გოლისთვის
15:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "ვასკუ და გამა" – "სან-პაულუ"
17:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" - "რომა"
18:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა. პირდაპირი ტრანსლაცია მონაკოდან
19:30 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:25 "FUTBOL MUNDIAL"
20:55 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 უეფას გალა-წარმოდგენა. "2002/2003 სეზონის საუკეთესი ფეხბურთელები"

НТВ + СПОРТ
09:00 09:00-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 17:15, 19:40 პრეს-ცენტრი
11:15, 19:30 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (14:00) პრეს-ცენტრი
16:15 "ათენის გზაზე"
17:30 ჰოკეის საღამო
18:00 "ჩქაროსნული სამყარო"
18:30 "მოსკოვი-პარიზი". მსოფლიო ჩემპიონატის განხილვა
19:35 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებებისას (22:00) პრეს-ცენტრი, (01:15) ახალი ამბები
03:00 ჰოკეის საღამო
03:30 "ჩქაროსნული სამყარო"
03:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი
12:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
13:00 აკადემიური ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
15:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
15:45 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
17:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
18:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი
19:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
20:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
21:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. პარიზი
01:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
03:00 ახალი ამბები
03:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
05:00 ახალი ამბები

რაგბი

დარჩენილი ორია

ორ დღეში დასაწყებ ეროვნულ ჩემპიონატს ორი გუნდი აკლია

ჰაატა თოთაძე

საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე უმაღლესი ლიგის ექვსი გუნდიდან ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო თანხა მხოლოდ ოთხ გუნდს აქვს გადახდილი. ესენი არიან "დათვები", "დათვები 2", "აკადემია – იმედი-L" და "ყოჩები". რაც შეეხება ჩემპიონატის კიდევ ორ მონაწილეს, "ლელო-ორბელს" და თბილისის "ლოკომოტივს", ისინი დავალიანების დაფარვას პირველობის დაწყებამდე დარჩენილ ორ დღეში შეეცდებიან - სხვაგვარად ჩემპიონატში თამაშის უფლება არ მიეცემათ.

ჩემპიონატი შაბათს ბათუმში გაიხსნება. პირველ მატჩში ქვეყნის ჩემპიონი "დათვები" თბილისის "აკადემია – იმედი-L"-ს უმასპინძლებს. ექვსი წლის წინ შექმნილი "დათვები" მუდამ ერთ-ერთი ფავორიტია და გამონაკლისი არც წლევანდელი სეზონი იქნება. მართალია, ზღვისპირელთა შემადგენლობა შარშანდელთან შედარებით რამდენადმე შეიცვალა, მაგრამ ამბიციები არც კლუბის ხელმძღვანელობას და არც მორაგბეებს არ დაჰკლებიათ. "დათვებიდან" წასულ ცხვედიანს, ღლონტსა და ბალანჩივაძეს ახლახან დენის პინჩუკოვიც მიემატა. მათგან ორი (ღლონტი და პინჩუკოვი) ჩემპიონატის პირველ მატჩში კვლავაც ბათუმში ითამაშებენ, ოღონდ "აკადემია – იმედი-L"-ის ღირსებას დაიცავენ. დარჩენილ ორ მატჩში "ყოჩები" - "ლოკომოტივი" და "ლელო-ორბელი" - "დათვები 2" შეხვდებიან ერთმანეთს.

რა იქნებოდა, ექვსი წლის წინ ბათუმში "დათვები" რომ არ ჩამოყალიბებულიყო? მართალია, ზღვისპირეთში მანამდეც იყო სარაგბო გუნდი "დელფინები", მაგრამ ბათუმური და, საერთოდ, აჭარული რაგბი "დათვების" შექმნის შემდეგ გახდა შესამჩნევი – ორჯერ ქვეყნის ჩემპიონობა, სამჯერ პრიზიორობა, ორჯერ თასი. აი, ბათუმელთა მონაგარი ამ ექვსწლეულში. წლევანდელი სეზონისთვის ზღვისპირელები ახალ სტადიონს აშენებენ, უფრო სწორად, ანგისას სტადიონს ტრიბუნებს უკეთებენ და აკოხტავებენ, რის შემდეგაც აქ 1500 მაყურებელს შეეძლება თამაშის ყურება.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, სწორედ აჭარაა, საქართველოს ღირსეულად რომ წარმოადგენს ევროპულ ტურნირებზე. ევროპის რეგიონთა თასზე ჩვენი ქვეყანა ორი გუნდით გამოდის. შარშან ბათუმელებთან ერთად ტურნირზე თბილისის ნაკრები თამაშობდა, მაგრამ "ლოკომოტივის" ბაზაზე შექმნილი გუნდი პირველივე წრეში დამარცხდა პორტუგალიელებთან. რაც შეეხებათ ბათუმელებს, აჭარის რეგიონის გუნდმა სამი ეტაპი დაძლია და ნახევარფინალს უწია. წლეულს იმედი გვქონდა, რომ ორივე ქართული გუნდი მოახერხებდა, სულ მცირე, ორი-სამი ეტაპის დაძლევას, მაგრამ უფულობის გამო თბილისის ნაკრებმა ჩეხეთში გამგზავრება ვერ მოახერხა, რის გამოც წაგება ჩაეთვალა და ქართული რაგბის ღირსების დაცვა ისევ მარტო ბათუმელებს მოუწევთ. ტურნირის პირველ წრეში ხარკოვის ოლქის ნაკრების დამმარცხებელ ბათუმელებს მერვედფინალში ციმბირის ძლიერ ნაკრებთან მოუწევთ ჭიდილი. დღეს რუსულ რაგბიში სწორედ ციმბირული კლუბები ქმნიან ამინდს. ერთადერთი "ვვა-პოდმოსკოვიე" ცდილობს, კრანოიარსკელებს წინააღმდეგობა გაუწიოს. ასე რომ, ბათუმელებს, შეიძლება ითქვას, ოდნავ შესუსტებულ რუსეთის ნაკრებთან მოუწევთ თამაში. ეს ყველაფერი ოქტომბერში მოხდება. მანამდე კი რაგბის მოყვარულებს მოუწევთ, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატით დაკმაყოფილდნენ.

ჩოგბურთი

კუერტენი გავარდა

REUTERS

ამჯერად როდიკის ჭერი იყო.

ნიუ-იორკი. ამერიკის ღია ჩემპიონატი. "დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 5 156 000 დოლარი. შარშანდელი გამარჯვებული პიტ სამპრასი (აშშ)

პირველი წრე:

ანდრე აგასი (აშშ, 1) - ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:1, 6:2, 6:2
ენდი როდიკი (აშშ, 4) - ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:3, 7:6, 6:3
რაინერ შუტლერი (გერმანია, 8) - უეინ არტურსი (ავსტრალია) 4:6, 6:3, 6:2, 6:4
პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 11) - სირილ სოლნიე (საფრანგეთი) . 2:6, 6:2, 6:3, 7:6
დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) - გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 14) .. 5:7, 6:2, 6:2, 4:6, 7:6
დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) - ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:3, 6:4, 6:2
ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) - კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 3:6, 7:6, 6:2, 6:2
ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) - როკო კარანუშიჩი (ხორვატია) 6:4, 7:6, 6:3
ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - ჟიულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 0:6, 7:5, 6:2, 6:2
ნიკოლას კიფერი (გერმანია) - ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:3, 5:0 სკილარიმ თამაში შეწყვიტა.
რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) - ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) 6:4, 6:4, 6:4
ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 15) - მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:3, 7:5, 5:7, 6:4
ჯონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) - კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:0, 6:2, 6:2
სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 12) - ჟიულიენ ბუტიე (საფრანგეთი) 6:2, 6:3, 6:2
ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) - კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 4:6, 6:3, 7:5, 3:6, 6:4
ფლავიო სარეტა (ბრაზილია) - ვინს სპეიდია (აშშ) 6:3, 6:1, 5:7, 7:6
ალბერტო მარტინი (აშშ) - ოლივიე მუტი (საფრანგეთი) 6:0, 6:3, 6:1
აგუსტინ კალიერი (არგენტინა) - ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 7:6, 7:6, 1:6, 6:4
ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) - პოლ ანრი მატიე (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 7:5
ალბერტ კოსტა (ესპანეთი) - რაიმონ სლუიტერი (ჰოლანდია) 7:6, 7:6, 2:6, 6:3
ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) - ლუის ჰორნა (პერუ) 6:4, 4:6, 3:6, 7:5, 6:1
ივო კარლოვიჩი (ხორვატია) - ფელიქს მანტილია (ესპანეთი) 6:4, 6:4, 6:4
ქსავიე მალისი (ბელგია) - ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3, 6:4, 6:2
ჰიშამ არაზი (მაროკო) - ჯეფ ზალცენშტაინი (აშშ) 6:1, 7:6, 6:3

ქალები. შარშანდელი გამარჯვებული სერენა უილიამსი (აშშ)

პირველი წრე:

ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 2) - აკიკო კანაროში (უნგრეთი) 7:5, 6:3
ანასტასია მისკინა (რუსეთი, 7) - ჰენრიეტა ნადიოვა (სლოვაკეთი) 6:2, 3:6, 6:1
მარია შარაპოვა (რუსეთი) - ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:1, 6:1
აი სუგიამა (იაპონია) - კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:1, 6:0
ელენა დემენტიევა (რუსეთი, 11) - ალინა ვასკოვა (ჩეხეთი) 6:2, 6:3
სილვია ტალაია (ხორვატია) - დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:3, 6:0
დინარა საფინა (რუსეთი) - კარლი ჰალიკისონი (აშშ) 7:5, 6:2
მარი პირსი (საფრანგეთი) - სტეფანი გერლეინი (გერმანია) 6:3, 6:2
ლიუდმილა ჩერვანოვა (რუსეთი) - ელენა ბოვინა (რუსეთი, 16) 4:6, 7:6, 6:4
ელენა დოკიჩი (სერბეთი) - ემანუელ გალიარდი (შვეიცარია) 6:4, 6:2
მარი გაიან მიქაელიანი (შვეიცარია) - მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:3, 6:1
საორი ობატა (იაპონია) - სუნ ტიან ტიანი (ჩინეთი) 6:2, 7:5
მაგი სერნა (ესპანეთი) - ჩო იიუნ იონგი (ს. კორეა) 3:6, 6:2, 6:1
მარია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) - იულია ბეიგელზიმერი (უკრაინა) 7:6, 7:5
ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) - გალაეონ გარსია (ესპანეთი) 6:1, 6:0
ტატიანა გარბინი (იტალია) - მარა სანტანგელო (იტალია) 4:6, 7:6, 6:4
შინობუ ასაგე (იაპონია) - მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 10) 6:4, 6:3
ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) - სტეფანი ფორეტსი (საფრანგეთი) 3:6, 7:5, 6:4
თინა პისნიკი (სლოვენია) - ანჯელა ჰეინსი (აშშ) 6:4, 6:2
კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) - მორინ დრეიკი (კანადა) 0:6, 7:6, 6:1
ემი ფრეიზერი (აშშ) - შენი პერი (აშშ) 6:3, 6:1
ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) - ევა ფისლოვა (სლოვაკეთი) 6:4, 6:4
არანტა პარა (ესპანეთი) - კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:2, 1:6, 6:2
კლოდინ შოლი (ლუქსემბურგი) - ანა პისტოლეზი (ისრაელი) 7:6, 6:2
ემილი ლუა (საფრანგეთი) - ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:2, 5:7, 6:4
ტატიანა პერებეინისი (უკრაინა) - მარტა მარერო (ესპანეთი) 6:1, 6:4
მარტინა სუჩა (სლოვაკეთი) - მარისა ირვინი (აშშ) 6:2, 7:6
სამანტა რივზი (აშშ) - ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:1
ნიკოლ პრატი (ავსტრალია) - ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:5, 6:0
ნატალი დეში (საფრანგეთი) - ბეტანი მატეკი (აშშ) 3:6, 6:4, 6:4
სილვია ფარინა-ელია (იტალია) - მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 6:4, 6:4
ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 6) - კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი) 6:0, 6:1

მძლეოსნობა

იანგმა 400 მეტრი დააბრუნა

გიგა გურასაშვილი

პარიზის "სტად დე ფრანსზე", სადაც მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატია გახურებული, დისციპლინათა მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ შორის ერთი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. შეჯიბრების მეოთხე დღეს ამ მხრივ გამორჩეული პატივით 400 მეტრზე ვაჟთა ფინალური გარბენი სარგებლობდა.

მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა სარბენი ბილიკები დატოვა, მისთვის საფირმო დისციპლინათაგან ერთ-ერთი - 400 მეტრზე რბენა ახალი მბრძანებლის მოლოდინშია. ასე რომ, 200 და 400 მეტრის გადამდგარი დიდოსტატის შემდეგ დღის წესრიგში იდგა საკითხი: ვინ ჩაიბარებდა ესტაფეტას. ერთ-ერთ პრეტენდენტად მოიაზრებოდა მსოფლიო ჩემპიონი ტირი ვაშინგტონი, რომელიც დროთა განმავლობაში საკვალიფიკაციო და ნახევარფინალურ გარბენებში იმედებს ამართლებდა კიდეც. გარდა ამისა, ვიდრე პარიზს ეწვეოდა, მიმდინარე სეზონში 11 გარბენი ჰქონდა მოგებული. მაგრამ ისე მოხდა, რომ ყველაზე ყოჩაღი სხვა აღმოჩნდა. საერთოდ, 200 და 400 მეტრზე რბენებში ამერიკული სკოლა (ამ შემთხვევაში მთლიანად ამერიკის კონტინენტს ვგულისხმობთ) უძლიერესია, მათ შორის საუკეთესო კი - აშშ-ის ნაკრები.

იანკებმა, 2001 წლის ედმონტონის (კანადა) მსოფლიო ჩემპიონატისგან განსხვავებით, საკუთარი სკოლის ღირსება ამჯერად ღირსეულად დაიცვეს. მოქმედი ჩემპიონი ბაჰამელი ავად მანკური ჯერ კიდევ ნახევარფინალში გამოეთიშა ასპარეზობას. ასე რომ, ამერიკელებს გარკვეულწილად სამეულისკენ გზა ხსნილი ჰქონდათ. მით უმეტეს, რომ ერთ-ერთმა ფავორიტმა, თანამეგობრობის თამაშების იამაიკელმა ჩემპიონმა მაიკლ ბლექვუდმა მეორე ნახევარფინალურ გარბენში (იმის მიუხედავად, რომ ეს ბარიერი გადალახა) დაამტკიცა: ჩემპიონობა გაუჭირდებოდა. ერთი სიტყვით, გამარჯვებულად სწორედაც რომ უმეტოქეოდ დარჩენილი ამერიკელი მოგვევლინა. ეს არის იამაიკური წარმოშობის ჯერომ იანგი, რომელმაც, სხვათა შორის, სევილიის მსოფლიო ჩემპიონატი (1997 წ.) მეოთხე შედეგით დაასრულა. მაშინდელ ფინალში მაიკლ ჯონსონმა გაიმარჯვა, ამასთან, მსოფლიო რეკორდით (43,18). ოთხი წლის წინანდელი ასპარეზობის ვერცხლის მედალოსანი კი ზემოთ ხსენებული ტირი ვაშინგტონია, რომელსაც ამჯერადაც მეორე შედეგი ჰქონდა.

REUTERS

ჯერომ იანგმა მსოფლიოს გაასწრო.

"გულსატკენია, რომ წლეულს პირველი მარცხი სწორედ აქ განვიცადე. არ მინდა, თავი შეგაცოდოთ, მაგრამ ძალზე დავიღალე. იანვრის შემდეგ გამოვდივარ სტარტზე. თუმცა, ძალიან მიხარია ჩემი კარგი მეგობრის ჯერომის გამარჯვება", - აღნიშნავს ვაშინგტონი.

400 მეტრზე ფინალში მასპინძლებმაც გვარიანად ინერვიულეს. სტარტზე გასული მათი თანამემამულის მარკ რაქუილისგან ყველა გამარჯვებას მოითხოვდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფრანგი მესამე მიიჭრა ფინიშთან, მისმა თანამემამულეებმა ისეთი ოვაცია მიაგებეს, გამარჯვებულსაც კი შეშურდებოდა.

ტექნიკური შედეგები

ვაჟები:

400მ.
1. ჯერომ იანგი (აშშ) 44,50
2. ტირი ვაშინგტონი (აშშ) 44,77
3. მარკ რაქუილი (საფრანგეთი) 44,79

3000მ. წინაღობებით
1. საიფ საედ შაჰინი (ყატარი) 8.04,39
2. ეზეკიელ კემბოი (კენია) 8.05,11
3. ელისეო მარტინი (ესპანეთი) 8.09,09

ბადროს ტყორცნა
1. ალეკნა ვირგილიუსი (ლიტვა) 69.69
2. რიბერტ ფაზეკასი (უნგრეთი) 69.01
3. ვასილი კაპტიუხი (ბელორუსი) 66.51

ქალები:

800მ.
1. მარია დე ლურდის მუტოლა (მოზამბიკი) 1.59,89
2. კელი ჰოლმსი (დიდი ბრიტანეთი) 2.00,18
3. ნატალია ხრუშელევა (რუსეთი) 2.00,29

სამხტომი
1. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) 15,18
2. ეტონე ფრანცუაზა მბანგო (კამერუნი) 15,05
3. მაგდალენა მარტინესი (იტალია) 14,90

ინფოთეკა

ფეხბურთი. ლონდონის "ფულჰემის" ფეხბურთელი სტივ მარლე იჯარით მარსელის "ოლიმპიკში" გადავიდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში, რომელიც "ლიონის" ყოფილმა ფეხბურთელმა ინგლისურ გუნდში გაატარა, მარლემ მხოლოდ 10 გოლის გატანა შეძლო. აღსანიშნავია, რომ "ფულჰემის" ხელმძღვანელობას ამას წინათ თვითონ მარლემ გაუმჟღავნა სხვა გუნდში გადასვლის სურვილი.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისური "ლიდს იუნაიტედი" იმედოვნებს, რომ ხელში ჩაიგდებს "მილანის" ბრაზილიელ მცველს როკე ჟუნიორს. ამჟამად ფეხბურთელი ინგლისშია და იორკშირელებთან მოლაპარაკებას აწარმოებს. "ჩვენ ეს ფეხბურთელი გვჭირდება, - ამბობს მწვრთნელი პეტერ რეიდი, - თუმცა, მოლაპარაკების პროცესის კომენტირება არ მსურს. იმედი გვაქვს, მოლაპარაკებას სატრანსფერო დერეფნის დახურვამდე მოვასწრებთ". 27 წლის ფეხბურთელი, რომელსაც პორტუგალიური პასპორტიც აქვს, ბრაზილიის "პალმეირასიდან" 2002 წელს "მილანში" გადავიდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. იერომ და გვარდიოლამ გადაწყვიტეს, მომავალი სეზონი კატარში გაატარონ. მადრიდის "რეალის" ყოფილი კაპიტანი ფერნანდო იერო "ალ რაიანში" ითამაშებს და 3 მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო გვარდიოლა "ალ ახლის" შემადგენლობაში 2 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანური "მარკა" იუწყება, რომ ფერნანდო მორიენტესი და სანტიაგო სოლარი უარს აცხადებენ დატოვონ მადრიდის "რეალი". მორიენტესით "შალკე" დაინტერესდა, მაგრამ ტრანსფერის შემთხვევაში ფეხბურთელს ხელფასი აკლდებოდა, ამიტომ მან გერმანიაში გადასვლისგან თავი შეიკავა. სოლარისთან მოსალაპარაკებლად მადრიდში "ლაციოს" წარმომადგენლები ჩავიდნენ, მაგრამ არგენტინელმა განაცხადა, რომ რომში გადასვლა არ სურს.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ლივერპულმა" იჯარის წესით "ბლექბერნში" გაანთხოვარა გერმანელი მარკუს ბაბელი. "ბაიერნის" ყოფილი ფეხბურთელი "ბლექბერნში" ერთ წელინადს დარჩება. შარშანდელი სეზონი ფეხბურთელმა გაიენა-ბარეს სინდრომის გამო გამოტოვა. ეს დამბლის ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა, რომლის შემდეგ ფეხბურთელს შეუძლია, სრულიად განიკურნოს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

■ ■ ■

ფეხბურთი. გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ტომას ჰესლერმა ავსტრიის "ზალცბურგთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჰესლერი მინდორზე უკვე ამ უქმეებზე გამოვა და თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში "აუსტრიას" წინააღმდეგ პირველ მატჩს ჩაატარებს. შეგახსენებთ, რომ 1996 წლის ევროპის ჩემპიონი ადრე "მიუნხენ 1860"-ში გამოდიოდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ჰოლანდიელი ფეხბურთელი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, რომელიც ლონდონის "არსენალთან" კონტრაქტით არის დაკავშირებული, მომდევნო სეზონს "ბარსელონას" შემადგენლობაში გაატარებს. საინტერესოა, რომ ორი წლის განმავლობაში ბრონკჰორსტმა ვერ შეძლო, "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში დაემკვიდრებინა ადგილი. "ბარსელონაში" გადასვლას ფეხბურთელი ჰოლანდიის ნაკრებში ადგილის მოპოვებას და ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე გაგმზავრებას უკავშირებს. შეგახსენებთ, რომ "ბარსელონას" ვან ბრონკჰორსტის თანამემამულე ფრანკ რაიკაარდი წვრთნის.

■ ■ ■

ფეხბურთი. დევიდ ბექჰემი ესპანური პრესის კრიტიკას გამოეხმაურა. მისი თქმით, დასკვნების გამოტანას გარკვეული დრო სჭირდება. "აქ ზიდანსა და ფიგუსაც აკრიტიკებდნენ. "ზიზუზე" იმასაც კი ამბობდნენ, "რეალს" არ შეესაბამებაო. მომცენ დრო. ჯერ ხომ მხოლოდ ერთი თვეა, რაც "რეალში" გადმოვედი".

■ ■ ■

კალათბურთი. ამერიკის ნაკრები აგრძელებს ყველა მეტოქის გვემას ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირში. ამჯერად ამერიკელებს მეტად უხერხულ მეტოქესთან - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან, არგენტინის ნაკრებთან მოუწიათ თამაში. ამჯერად "ოცნების გუნდმა" 94:86 გაიმარჯვა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. რუსი ანა კურნიკოვა, რომელიც ტრავმის გამო ამერიკის ღია ჩემპიონატზე არ მონაწილეობს, ტურნირზე ჟურნალისტის რანგში იმუშავებს. ასეთი წინადადებით მიმართა მას მსხვილმა ტელეკომპანია ESPN-მა.

■ ■ ■

ოლიმპიზმი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ მოიწონა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ოლიმპიური კომიტეტების ინიციატივა, 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ერთობლივი გუნდით გამოვიდნენ. თუმცა, როგე მხარეებს ურჩევს, დააჩქარონ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. საქმე ის არის, რომ მომავალ კვირაში იწყება რიგი საკვალიფიკაციო ტურნირები, რომლებშიც კორეა გაერთიანებული გუნდით უნდა გამოვიდეს.

ქართველი მომღერალი იტალიელებს ტენორების ოქროს ხანას ახსენებს

გია ონიანი "შემოდგომის თბილისზე" იმღერებს

მადი სერებრიაკოვა

"ასეთი ხმები ოც წელიწადში ერთხელ იბადებიან" – ასე შეაფასა, რამდენიმე წლის წინათ გია ონიანის ვოკალური მონაცემები ჯანსუღ კახიძემ, როდესაც ახალგაზრდა ქართველი ტენორი თბილისის საოპერო თეატრში აბესალომის პარტიას ამზადებდა. თბილისის კონსერვატორიის დამთავრებისა და აქ შესრულებული რამდენიმე პარტიის შემდეგ გია ონიანი იტალიაში გაემგზავრა. გასულ წელს "ლა სკალაში" დებიუტისა და რამდენიმე მნიშვნელოვან კონკურსზე მიღწეული წარმატების შემდეგ გია ონიანი კვლავ თბილისის სცენას უბრუნდება. ფესტივალზე "შემოდგომის თბილისი" იგი ასევე იტალიაში მოღვაწე მეცო-სოპრანოს - ნინო სურგულაძესა და თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ბიზეს "კარმენის" საკონცერტო შესრულებას წარმოადგენს.

"გია ონიანი ნუგზარ გამგებელმა მომიყვანა – იხსენებს ცნობილი მომღერალი და პედაგოგი ნოდარ ანდღულაძე, რომელიც პირველივე დღიდან ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა ტენორის ვოკალურ განვითარებას – **პირველხარისხოვანი ვოკალური მონაცემები, ძლიერი მეხსიერება და ძალიან მტკიცე ხასიათი, რომელიც ხან უშლიდა და ხანაც ხელს უწყობდა".** ონიანის განსაკუთრებულ ტემბრს, ვოკალურ მონაცემებს ყველგან ხაზს უსვამდნენ. "ლა სკალაში" დებიუტის შემდეგ, იტალიურმა პრესამ აღნიშნა, რომ **"ონიანის მაღალმა რეგისტრმა ტენორების ოქროს ხანა გაგვახსენა".** იტალიაში ქართველი ტენორი ჭეშმარიტ ვერდის ხმად აღიარეს. მომღერლისათვის ასეთი აღიარება, ფაქტობრივად, ყველა დიდი თეატრის კარის გაღებას ნიშნავს. ევროპაში ყოფნის ორი წლის მანძილზე ონიანმა მართლაც საკმაოდ ბევრი მოასწრო. თუ არ ჩავთვლით თავად ნოდარ ანდღულაძის მაგალითს, რომელმაც იტალიაში სტაჟირების 13 თვის მანძილზე 8 საოპერო პარტია მოამზადა, გია ონიანმა ერთგვარი რეკორდიც დაამყარა: ორ წელიწადში მან 11 საოპერო პარტია მოამზადა და ვერდის ხუთი ოპერა უკვე სცენაზეც გამოიტანა.

ლა სკალას აკადემიაში ონიანი, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოხვდა. თავდაპირველად საქართველოდან იგი გერმანიაში, მიუნჰენის მუსიკისა და თეატრის უმაღლეს მუსიკალურ სკოლაში გაემგზავრა სასწავლებლად. **"მიუნჰენში სწავლისას მივხვდი, რომ ქართულ მუსიკალურ გემოვნებას და გერმანულ სკოლას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. გერმანიაში მე ვერ მივაღწევდი იმ მიზნებს, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია".** ნოდარ ანდღულაძის მიერ იტალიურ ტრადიციაზე აღზრდილი ტენორი გერმანიაში სწავლის დროს მილანში მოსმენაზე ჩავიდა. აქ მისმა ხმამ ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ ლა სკალას აკადემიაში დარჩენა შესთავაზეს; და ეს მიუხედავად იმისა, რომ მიღება უკვე დამთავრებული იყო (აკადემიაში მიღება ორ წელიწადში ერთხელაა და მხოლოდ 12-13 მომღერალს იღებენ) და სასწავლო წელიც დაწყებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში გადასვლამდე თბილისში ონიანს უკვე რამოდენიმე საოპერო პარტია ჰქონდა ნამღერი (აბესალომი "აბესალომ და ეთერიდან", მალხაზი "დაისიდან", ჰერცოგი "რიგოლეტოდან", ალფრედი "ტრავიატადან", კავარადოსი "ტოსკადან", ორფეოსი "ორფეოსი და ევრიდიკედან"), იტალიაში მას ბევრი რამის თავიდან დაწყება მოუხდა: **"იტალიელი მსმენელი ძალიან მკაცრია, არც ერთ შეცდომას არ გაპატიებს. იტალიაში უნდა მღეროდე ისე, როგორც იტალიელი. მრავალი უცხოელი ვარსკვლავიც კი ერიდება იტალიაში სიმღერას დიქციის გამო. მეც ბევრი რამის ნულიდან დაწყება მომიხდა."**

გია ონიანი ოქტომბრისთვის ემზადება

ტერეზა ბერგანცასთან ერთად

ბესო ბელაძის ფოტო

ლა სკალას აკადემია უკვე დაამთავრა და იტალიაში აგრძელებს მუშაობას. მას უკვე საკუთარი აგენტი ჰყავს და იტალიის რამდენიმე თეატრთან აქვს კონტრაქტი გაფორმებული. თბილისში ჩატარებული რეპეტიციების შემდეგ ("კარმენს" ჩვენი მსმენელი ოქტომბერში, "შემოდგომის თბილისის" მსვლელობისას მოისმენს), დღეს იგი კვლავ იტალიაში მიემგზავრება, სადაც ბერგამოში დონიცეტის შედარებით უცნობ ოპერას Ugo, conte di Parigi-ს შეასრულებს. პარტნიორობას მას აქაც ნინო სურგულაძე გაუწევს. თბილისური "კარმენის" შემდეგ კი კონცერტებით რიგაში გაემგზავრება.

ახალგაზრდა ტენორის მომავალი საოპერო ანგაჟემენტები კი ნოემბერში, მილანში, კარუზოს ასოციაციის მიერ განხორციელებული, "სოფლის პატიოსნებას" მოიცავს. ასოციაცია ამ სპექტაკლს შემდეგ იტალიის სხვა ქალაქებშიც იქნა ნაჩვენები, მათ შორის გენუაში, კარლო ფელიჩეს თეატრში.

ონიანის კარიერაში მნიშვნელოვან ეტაპად თვლიან "სოფლის პატიოსნებასა" და "სიცილიურის მწუხრში" შესრულებულ პარტიებს. ამ უკანასკნელის შესრულებას, თავისი სირთულის გამო, დღეს მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელი ტენორი რისკავს. შედარებით პოპულარული რეპერტუარის შესრულებისასაც, გია ონიანი განსაკუთრებულ პროფესიონალიზმს აჩვენებს. ამის მაგალითად ნოდარ ანდღულაძეს "კარმენი" მოჰყავს: **"ხოზეს რომანსს ტენორები მღერიან როგორც ჰეროიკულ არიას. ამის გამო იგი კარგავს იმ სასიყვარულო, ემოციურ ფუნქციას, რაც მასში კომპოზიტორმა ჩადო. ამის მიზეზი ტექნიკური სირთულეა – ტენორისთვის რთულია მაღალ რეგისტრში პიანოზე სიმღერა. თითოროლა ტენორი მეგულება, ისიც ჩანაწერებზე, რომელიც ამას ახერხებს. გია ონიანი კი ამას სწორუპოვრად ასრულებს."**

ახალგაზრდა ტენორი თბილისში ძალზედ პრესტიჟული "დომინგო ოპერალიას" კონკურსის შემდეგ ჩამოვიდა. კონკურსში მონაწილეობას ათასამდე მომღერალი იღებდა. გია ონიანი ფინალში გასულ 12 მომღერალს შორის მოხვდა. თავად დომინგომ ძალზედ თბილად შეაფასა ქართველი მომღერალი, განსაკუთრებით მის მიერ შესრულებული ტურიდუს არია მოეწონა. იგი მომღერალს თანამშრომლობასაც დაჰპირდა.

ამჟამად ონიანმა ლა სკალას აკადემია უკვე დაამთავრა და იტალიაში აგრძელებს მუშაობას. მას უკვე საკუთარი აგენტი ჰყავს და იტალიის რამდენიმე თეატრთან აქვს კონტრაქტი გაფორმებული. თბილისში ჩატარებული რეპეტიციების შემდეგ ("კარმენს" ჩვენი მსმენელი ოქტომბერში, "შემოდგომის თბილისის" მსვლელობისას მოისმენს), დღეს იგი კვლავ იტალიაში მიემგზავრება, სადაც ბერგამოში დონიცეტის შედარებით უცნობ ოპერას Ugo, conte di Parigi-ს შეასრულებს. პარტნიორობას მას აქაც ნინო სურგულაძე გაუწევს. თბილისური "კარმენის" შემდეგ კი კონცერტებით რიგაში გაემგზავრება.

ახალგაზრდა ტენორის მომავალი საოპერო ანგაჟემენტები კი ნოემბერში, მილანში, კარუზოს ასოციაციის მიერ განხორციელებული, "სოფლის პატიოსნებას" მოიცავს. ასოციაცია ამ სპექტაკლს შემდეგ იტალიის სხვა ქალაქებშიც აჩვენებს. თებერვლიდან ონიანი გენუაში "სიმონ ბოკანეგრათი", შემდეგ კი ფერარასა და პიაჩენცაში "სიცილიური მწუხრით" წარდგება. ეს უკანასკნელი, ტოსკანინის ფონდმა და ასოციაციამ დადგა, გია ონიანს იგი უკვე ნამღერი აქვს ბუსეტოსა და რავენაში.

სტაჟიორობის პერიოდში, ონიანი ძლიერ შეზღუდული იყო დროში. ამჟამად, იგი ერთის მხრივ, რეპერტუარის განვითარებაზე მუშაობს, ხოლო მეორეს მხრივ, სხვა ქვეყნების თეატრების დაპყრობას გეგმავს: **"საოპერო სცენაზე დამკვიდრება ძალზედ რთული პროცესია. ერთის მხრივ, ამ დროს უკვე შენს თავსაც აღარ ეკუთვნი და ყველაფერს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდები, იმიტომ რომ მხოლოდ შენ თავს კი არა, მთელ შენ ქვეყანას წარმოადგენ. ამასთან, თუ მრავალწლიან კარიერას გათვლი, ბევრ რამეზე გიწევს უარის თქმა. ამ შემთხვევაში მე ყოველთვის ნოდარ ანდღულაძის რჩევებს ვეყრდნობი, რომ რაიმე ნაჩქარევი და არასწორი ნაბიჯი არ გადავდგა"**. მაესტრო ანდღულაძის რჩევით, ონიანმა მართლაც მრავალ მიმზიდველ წინადადებაზე თქვა უარი: მათ შორის, ინგლისში რახმანინოვის "ძუნწ რაინდზე", "მანონ ლესკოზე", ავსტრიაში და პერუში "ტურანდოტზე". რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მისი მომავალი, მრავალწლიანი კარიერის განმტკიცებისკენაა მიმართული.

გადასაღები მოედანი მარიამობაზე

ტიმოთესუბნის ტაძარი მარიამობას განახლებული გუმბათითა და კინო-გადაღებებით ხვდება

ტიმოთესუბნის ტაძარივბ

თეონა ჯაფარიძე

ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (1205-1215 წ.წ.) მდებარეობს ბორჯომის რაიონში, ისტორიული თორის შუაგულში და თამარ მეფის ეპოქის ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. ნაგებია მოვარდისფრო ქართული აგურითა და ჩახაზული ჯვრის ტიპის ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. ეკლესიის წარწერებში მოხსენიებულია მე-12-ე მე-13-ე საუკუნეების გამორჩენილი სამხედრო მოღვაწე – შალვა თორელი, რომლის ხელისშეწყობითაც აიგო ტაძარი და მოიხატა ფრესკები. ეს უძველესი კედლის მხატვრობა მარიამ ღვთისმშობლის მონუმენტური ცენტრალური გამოსახულებით, ქართველ ოსტატთა ნახელავია.

ტაძრის მოხატულობა 1972-76 წლებში გაწმინდეს და შეისწავლეს ცნობილი მეცნიერის – ეკატერინე პრივალოვას ხელმძღვანელობით.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს, დღიდან არსებობისა, ავტორიტეტულ და სოლიდურ დონორ ფონდებთან თანამშრომლობის საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა, რათა განახორციელოს "ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის" პროგრამა. ყინწვისის ფრესკების გადარჩენის შემდეგ ჯერი ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარზე მიდგა. ამჯერად ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა ნიუ იორკში დაფუძნებულ სემუელ კრესსის ფონდს (მსოფლიო მონუმენტების ფონდს) მიმართა დასახმარებლად. როგორც პროექტის აღმასრულებელმა დირექტორმა, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტმა მაკა დვალიშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, კრესსის ფონდში მათ მიერ წარდგენილმა პროექტმა წარმატებით გაიარა კონკურსი და ძეგლის გადასარჩენად ჩასატარებელი სამუშაოების პირველი ორი ეტაპი 40 ათასი ამერიკული დოლარით დაფინანსდა.

დახმარების პირველი ტრანში – 20 ათასი დოლარი ცენტრმა ჯერ კიდევ 2000 წელს მიიღო, რისი საშუალებითაც საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან ერთად განახორციელა ფრესკების დიაგნოსტიკური კვლევა და სარეაბილიტაციო საკონსერვაციო მეთოდების დადგენა. ეს სამუშაოები თავის დროზე ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა იტალიელ კოლეგებთან ერთად განახორციელეს. ფრესკების ტექნიკური კვლევის შედეგებზე პროექტის ერთ-ერთი შემსრულებელი, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მეცნიერ–მუშაკი ნანა კუპრაშვილი გაგვესაუბრა: "კვლევითმა სამუშაოებმა ტიმოთესუბნის ფრესკებშიც ყინწვისის გახმაურებული ვარდისფერი სოკოს ანალოგიური სოკოვანი და მარილოვანი აგენტების არსებობა გამოავლინა. ამიტომ გავითვალისწინებთ ყინწვისის გამოცდილებას და პროექტის მესამე ეტაპზე კედლის მხატვრობის კონსერვაცია "ყინწვისის მეთოდით" წარმართება."

დღესდღეობით ეს სამუშაოების მეორე ეტაპი დასრულდა, რომელიც გადამწყვეტ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც საღრენაჟო სისტემის აღდგენამ უკვე შეაჩერა ტაძარში მოჭარბებული ტენიანობა. მოხდა სამხრეთის მინაშენის, საძირკვლის ქვებისა და ბზარების რეაბილიტაცია, გამოიცვალა ტაძრის სარკმელები და გაიწმინდა და განახლდა გუმბათი და სახურავი.

საბოლოოდ კი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის წარდგინებით ტიმოთესუბნის კედლის მხატვრობა შესულია მსოფლიო მონუმენტების მეოვალყურეობის ფონდის 2004 წლის 100 გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებელ ძეგლთა ნუსხაში.

მარიამობის დღესასწაულამდე ორი დღით ადრე, ძეგლის სანახავად ასულები სამუშაოთა მეორე ეტაპის სიმბოლურად დასრულების – ტაძარზე განახლებული გუმბათისა და ჯვრის აღმართვის მომსწრეები აღმოვჩნდით. იქვე შევიტყვეთ, რომ ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა – რეზო ჩხეიძემ სწორედ ტიმოთესუბნის მონასტრის ეზო შეარჩია მომავალი ფილმისათვის გადასაღები მოედნისათვის (ცხადია საპატრიარქოს ნებართვით). მასიური სცენისათვის რეჟისორი სწორედ დღეს, მარიამობის დღესასწაულზე მახლობელი სოფლებიდან ტაძარში მისულ მლოცველებს გადაიღებს. დეკორაციისათვის კი ჯერ კიდევ გუმბათზე შემორჩენილ ხარაჩოებს გამოიყენებს. მომავალ ფილმზე რეჟისორი დეტალურად მაშინ ისაუბრებს, როცა ტაძარში მარიამობის დღესასწაულზე მისული ღამეს გაათევს და ზიარებას მიიღებს.

ჯანი ვერსაჩეს ბურუსით მოცული სიკვდილი

სალომე კიკალეიშვილი

წელს ჯანი ვერსაჩეს მოდის სახლი თავისი არსებობის 25 წლისთავს აღნიშნავს. 1978 წლის 28 მაისს ახალგაზრდა კუტურიემ პირველად წარადგინა თავისი კოლექცია რომის ელიტარული საზოგადოების წინაშე. პირველად დაფიქსირდა მარკა Versace, მედუზისთავიანი ემბლემით. გადიოდა წლები, მოდის პრინცად წოდებული დიზაინერი, არნახულ პოპულარობას იხვეჭდა: პრიზები, როგორც საუკეთესო დიზაინერს, დიდებული ჩვენებები, ბუტიკები მთელ მსოფლიოში, მრავალი გაფორმებული ბალეტი ლა სკალას დიდებულ სცენაზე...

2002 წლის 2 დეკემბერს, კუტურიეს დაბადების დღეს, მისი ყოფილი რეზიდენცია Casa Casurina, დღეს უკვე Palazzo Versace-ედ წოდებული, ნამდვილ ელიტარულ კლუბს დაემსგავსა. Palazzo-ს ახლანდელმა მეპატრონემ, ტელემაგნატმა პიტერ ლოფტინმა ამ პრესტიჟული ადგილის პრეზენტაცია ჩაატარა, სადაც გამოაცხადა რომ, ექსკლუზიური საწევრო ბარათის მფლობელები, წლევანდელი ზაფხულიდან შეძლებენ დაიქირაონ ერთ-ერთი იმ 15 ოთახთაგანი, რომელიც სასტუმროდ გადაკეთებული კუტურიეს სახლშია განლაგებული. ფასი? ღამე სულ რაღაც 6 ათას დოლარად, ძვირია? ვისთვის როგორ. ისე, ალბათ, Casa Casurina-ს ბედი სულ სხვაგვარად განვითარდებოდა, რომ არა 1997 წლის 24 ივლისის აჭრელებული პრესის ფურცლები, რომლებიც თითქმის ყველა ერთნაირად იწყებოდა - მოკლეს ცნობილი კუტურიე... ამას მოჰყვა რამოდენიმე წიგნის პუბლიკაცია, ასობით სტატია მთელ მსოფლიოში, სპეციალური გადაცემები. რეჟისორმა მენაჰემ ჰოლანმა ფილმიც კი მიუძღვნა დიდებულ კუტურიეს, "ვერსაჩეს მკვლელობა" - ფრანკო ნეროთი მთავარ როლში.

ამერიკის კრიმინალურ ისტორიას კიდევ ერთი ფურცელი შეემატა, მკვლელ-მანიაკთა სიას კი – ენდრიუ ფილიპ კიუნანის სახელი. წლების შემდეგ სპეციალისტები ისევ მსჯელობენ, იმაზე თუ ვინ იყო ენდრიუ კიუნენანი. ბანალური, "ჟიგოლო-მკვლელი", თუ ჰეროსტრატეს ორეული? (ისტორიაში შესვლის მიზნით, რომ გადაწვა არტემიდას დიდებული ტაძარი). ანდა საერთოდაც, ენდრიუ კი იყო მკვლელი? ამ ვერსიის გარდა არსებობს კიდევ ორი, სინამდვილესთან უფრო დაახლოებული ვერსია, რომლებზედაც არავინ, არსად ხმამაღლა არ საუბრობს.

დონატელა და ჯანი ვერსაჩეები

ვერსია 2: ჯანი აპირებდა წიგნის დაწერას თავის სამშობლო კალაბრიაზე და იქაურ მაფიაზე – ნ დრანგეტოზე, რომელსაც კავშირი ჰქონდა კალაბრიის, სიცილიის და ნეაპოლის იატაკქვეშა ქარხნებთან. აქ იყო კარგად ცნობილი - მედუზისთავიანი მარკის პროდუქციის უზარმაზარი წარმოება, რის გამოც დიზაინერი ყოველ წელს მილიონობით დოლარს კარგავდა. 50 წლის კუტურიეს გაყალბებული პროდუქცია, მყარად ლიდერობდა შავ ბაზარზე. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე კი იტალიური სპეც-დანიშნულების პოლიციასთან - "ყვითელ ალთანაც" კი დაიწყო თანამშრომლობა. ეს კავშირი საკმაოდ მომგებიანი გამოდგა კუტურიესთვის. ტოსკანაში, ლომბარდიაში აღმოაჩინეს და დახურეს ქარხნები, მარტო რომის აღმოსავლეთ რაიონში 20 მილიარდი ლირის ღირებულების ყალბი პროდუქცია გაანადგურეს. ეს უკვე მეტისმეტი იყო, მაფია შეწუხდა და... ორი გასროლა თავში. კუტურიესთვის ყველაფერი დამთავრდა.



ენდრიუ კიუნანი – ვერსაჩეს ბოი-ფრენდი და მკვლელი

ვერსია 3: ამ უკანასკნელზე, არც ფილმი გადაუღიათ და არც რამე დაუწერიათ. ამ ვერსიის მიხედვით ცნობილი კურორტის, მაიამი ბიჩის (სწორედ ის ქალაქი, სადაც კუტურიე მოკლეს) პოლიციის თანამშრომლები და ადგილობრივი მოსახლეობა ხმადაბლა ჩურჩულებს, რომ ჯანი ვერსაჩე კუბელებმა მოკლეს. საქმე ის არის, რომ მაიამიში დამნაშავეთა რამდენიმე სერიოზული დაჯგუფება არსებობს. ესენი ერთ-ერთი იმათგანნი არიან, რომლებიც თავისუფლების კუნძულიდან ჩამოვიდნენ, ისე როგორც "ნაიარევ სახეში" ალ პაჩინოს გმირი - მონტანე და საკმაოდ "სასარგებლო" და ფულიან საქმეს მოკიდეს ხელი (აქ ისევ და ისევ ვერსაჩეს პროდუქციის გაყალბებაზეა საუბარი). ისინი კი, არც მეტი და არც ნაკლები, სახელისუფლებო ორგანო ATF-ის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ATF თამბაქოს, სპირტისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ვაჭრობასთან მებრძოლი სახელისუფლო ორგანო არის. ვერსაჩე კი ზედმეტად ცდილობდა საკუთარი მარკის გამყალბებლებთან ბრძოლას. დამკვეთი ATF იყო, ხოლო საქმის რეალიზაცია კუბელებს ჩაბარდათ. ამით ეს ორგანიზაცია ორ კურდღელს იჭერდა: 1. მოიშორა ბიზნესში ხელისშემშლელი და 2. კალაბრიელი მაფიოზების ნეიტრალიზაცია მოახდინა, რომლებსაც არაოფიციალურად, მაგრამ მაინც ამ საქმეში გარევა დაბრალდათ. შემდეგ ATF ენდრიუ ფილიპ კიუნენანსაც მიწვდა და სიცოცხლეს გამოასალმა. ინტერნეტში კი მაშინვე გაავრცელეს შავი პიარი, სადაც ჯანის დის, დონატელა ვერსაჩეს ამ საქმესთან კავშირზე იყო საუბარი.

არავინ არ იცის, სინამდვილეში ვინ გამოასალმა 51 წლის კუტურიე სიცოცხლეს, რომელიც მიუხედავად დაშინებებისა, დაცვის გარეშე, მარტო სეირნობდა მაიამი ბიჩის მშვენიერ სანაპიროზე. იყო ეს ვერსაჩეს ერთგული ბოიფრენდი ენდრიუ, თუ? ალბათ, ამას უკვე აღარანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ჯანი ვერსაჩე აღარ არის, და ეს უკვე საკმარისია.

მერაია ქერი მოსკოვში

მომღერალ მერაია ქერის მოსკოველ ფანებს, ნამდვილი სიურპრიზი ელოდებათ. 27 და 29 სექტემბერს, მოსკოვის კრემლის სასახლეში მომღერალი კონცერტს გამართავს. სადაც ახალ ალბომ - The Charmbracelet-ში შესულ, საუკეთესო სიმღერებს შეასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ მერაიას "პატარა ვოიაჟის" გრაფიკი საკმაოდ გადატვირთული იქნება, რუსმა მასპინძლებმა უკვე შეადგინეს მისი დღის გეგმა: გასეირნება წითელ მოედანზე და ძველ არბატზე, რის შემდეგაც მოეწყობა შეხვედრა ჟურნალისტებთან. მერაია არც თავის თაყვანისმცემლებს დატოვებს უყურადღებოდ, და დღის ბოლოს მათთანაც მოახერხებს გასაუბრებას. ჯერ დადასტურებული არ არის, მაგრამ შესაძლებელია, რომ მოსკოველმა მაყურებელმა მერაიასთან ერთად სცენაზე ჰიპ-ჰოპის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი - ბასტა რაიმეც იხილოს, რომელთანაც ქერის საკმაოდ ცნობილი სიმღერა I know what you want აქვს ჩაწერილი. ისე იმასაც ამბობენ, რომ შავკანიანმა მომღერალმა მშვენიერი მერაიასთვის ჰოლანდიაში 390 ვარდი შეუკვეთა, რომლებსაც კონცერტის დროს გადასცემსო. საინტერესოა, შავკანიან მომღერალს რამე ხომ არ სმენია ფიროსმანის მილიონ ვარდზე?

TV პროგრამა
28 აგვისტო

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.50** სერიალი „კომპიუტერული ომები“ **09.10** სერიალი „ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე“ **10.00** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.30** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“ **11.00** სერიალი „განდგომილი“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი „ასულ ტეკილა“ **18.00, 21.00, 03.10** კურიერი **18.15** სერიალი „კომპიუტერული ომები“ **18.40** სერიალი „მაშველები“ **19.00** ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა **19.30** სერიალი „მაშველები“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** სერიალი „შავი ზეცა“ **22.50** ღამის კურიერი **00.00** უეფას დაჯილდოების ცერემონიალი **01.05** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **01.30** მხ.ფილმი „ქალი ფანჯარაში“. მთ. რ-ში: რომი შნაიდერი, ვიქტორ ლანუ.

პირველი არხი

09.00 „მარიამობა“-ტრანსლაცია სიონის საკათედრო ტაძრიდან **13.00** მღერის ანსამბლი „საგალობელი“ **13.30** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **14.05** მულტფილმი „ცეროდენა“ **15.00, 20.00** მოამბე **15.15** მხ. ფილმი „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“ **16.20** ტელესერიალი „ძილის წინ“ **16.35** „ერთი თეთრიც ფულია“ **16.50** კონცერტი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში“ **18.35** ბასტიბუბუ **18.55** კონცერტი „ჩვენი მშვიდობა“ **19.25** ტელეთამაში „იმლერე რამე“ **21.00** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **21.50** საქართველო არის ესე **22.20** ოქროს ფონდიდან - „მეტეხის ჩრდილში“ **22.40** ტელესერიალი „ძილის წინ“ **23.00** მოამბე **23.20** მხ. ფილმი „თუმი მეცხვარე“ მე-2 ს. **00.20** მხ. ფილმი „უსახო კაცი“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ღმერთების შური“ მთ. რ-ში ვერა ალენტოვა, ანატოლი ლობოცკი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** „ბრავო“ „გაანალიზე ის“. მთ. რ-ში რობერტ დე ნირო. **01.40** „ღამურა“ „ობობა“ მთ. რ-ში რალფ ფაინსი, მირანდა რიჩარდსონი. **03.00** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „ტაში ცალი ხელით“ **21.00** დიდი დასვენება **21.30** ისტორიანი **22.10** მხ. ფილმი „იდიოტების აღლუმი“.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „რობინ ჰუდი“ **14.30** მხ.ფილმი „სიჩქარე 2“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მულტფილმი „ურჩხული და ლამაზმანი“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „დიდი რბოლა“.

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „ბლეფი“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „დეტროიტი“ **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.40** მხ. ფილმი „ტეხასის მეფე“ **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მუსიკა **00.05** მხ. ფილმი „ბერი“.

მეცხრე არხი

09.00, 09.50 მუსიკა **09.25** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **10.00** სერიალი „ქავინქტონ კროსი“ **10.50, 11.55, 14.20, 15.15, 19.50** მუსიკა **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **12.10** მხ. ფილმი „ციებ-ცხელება“ **13.50** კინოგადაცემა „ნუმერატორი“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ევროპის სტადიონებზე“ **15.30** მხ. სერიალი „ახალი პროფესიონალები“ **16.25** დოკ. სერიალი „ეს სანახაობაა“ **17.50** სერიალი „ქავინქტონ კროსი“ **18.40** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **19.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **20.00** „ქართული ფეხბურთი“ **21.10** სერიალი „ახალი პროფესიონალები“ **22.00** დოკ. ფილმი „მოჩვენებათა თავგადასავალი“ მე-4 ს. **22.25** ტელემეტრი - საკეტი - კენგურუ **22.50** მოკლ. მხ. ფილმი „ნონი და ალექსი“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.20** რუს. მხ. ფილმი „ღომის წილი“.

იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** არტ-ბულვარი **11.00** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „გოგონები ესპანეთის მოედნიდან“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „გრაფი მონტე კრისტო“ **15.15** მხ. ფილმი „სიცოცხლე - სასიკვდილო სენი“ **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.30** სერიალი „გოგონები ესპანეთის მოედნიდან“ **20.30** სპ. პროგრამა „ესტაფეტა“ **21.05** სერიალი „გრაფი მონტე კრისტო“ **23.00** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **23.55** კინოვარსკვლავთა ღამე „მეათე მსხვერპლი“ (მარჩელო მასტროიანი).

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** ისტორიული ფილმი „ალექსანდრე დიდი“ **11.20** დოკუმენტური ფილმი **12.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **12.20** მხატვრული ფილმი „მზის ცრემლები“ **14.10** მუსიკა **14.15** კომედია „გაქცეული პატარძალი“ **16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **16.20** მულტფილმი „ვარდისფერი რაკეტა“ **17.10** მხატვრული ფილმი „საუკეთესო მსროლელი“ **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.30** „პირისპირ“ **20.20, 03.40** მუსიკა **20.30** თრილერი „შეთქმულება თეთრ სახლში“ **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** მელოდრამა „პირადი მცველი“ **03.55** კომედია „პირომანიაკი“.

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** „აჩიკუდა“ **09.35** მობილურები **10.25** მელოდია **10.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.00** მელოდია . **11.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.10** დისნეი და მისი მეგობრები **12.45** კომპიუტერული თამაშები **12.50** მელოდია **13.00** კომპიუტერული ტექნიკა **18.10** ვალუტის კურსი **18.15** მოკლედ...საქართველო, ეკონომიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.55** მოკლედ... უცხოეთი **19.00** „აჩიკუდა“ **19.20** მოკლედ... სპორტი **19.25** კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.20** კომპიუტერული ტექნიკა **20.55** „ავტოტრეინგი“ **21.55** მობილურები **22.45** „კინოკლუბი „ - „აზარტული თამაშები“. მთავარ როლში: ნიკ ნოლტი. **00.25** მელოდია **00.30** ტელესერიალი - „ნათლიდედა“ **01.20** აუდიო-ვიდეო-ტელე.

ОРТ

07.00 Телеканал “Доброе утро”. **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости. **10.15, 19.50** Телесериал **„ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ“**. **11.10** Многосерийный фильм **“ЗВЕРЬ ИЗ БЕЗДНЫ”**. **12.05** Легкая атлетика. Чемпионат мира. Передача из Франции. **12.35** Дисней-клуб: “Базз и его команда”. **13.20** Комедия **“ЧЕЛОВЕК В КРАСНОМ БОТИНКЕ”**. **15.05** Премьера. “Город женщин”. Телевизионное шоу. **16.15** Мелодрама **“ХОЗЯЙКА ДЕТСКОГО ДОМА”** (1-я серия). **18.00** Детективный сериал **“НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ-2”**. **19.20** Док. фильм “Наталья Гундарева. Лицом к солнцу”. **20.50** Сериал **“ГРАНИЦА. ТАЕЖНЫЙ РОМАН”**. **22.00, 00.30** Время. **22.30** Многосерийный фильм **“СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ”**. **23.40** “Человек и закон” с Алексеем Пимановым. **01.00** Ударная сила. “Смертельный “Град”. **01.30** “Гении и злодеи”. **02.00** Мишель Пфайфер в триллере **“ОПАСНЫЕ МЫСЛИ”**.

РТР

06.00 “Доброе утро, Россия!”. **09.45** Телесериал **“ҚАМЕНСКАЯ. НЕ МЕШАЙТЕ ПАЛАЧУ”** 1-я серия. **10.50** “Аншлаг”. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести. **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва. **12.50** “Короткое замыкание”. **13.50** Телесериал **“МАРШ ТУРЕЦКОГО-3. ОБОРОТЕНЬ”**. 1-я серия. **14.45, 17.25, 00.20** Вести.Дежурная часть. **15.30** “Что хочет женщина”. **16.30** Телесериал **“ЛУЧШИЙ ГОРОД ЗЕМЛИ”**. **18.10** Телесериал **“ГРАЖДАНИН НАЧАЛЬНИК”**. **19.05** Телесериал **“УНДИНА”**. **20.00** Телесериал **“КОМИССАР РЕКС”**. **21.50** “Спокойной ночи, малыши!”. **21.55** Телесериал **“КАМЕНСКАЯ. НЕ МЕШАЙТЕ ПАЛАЧУ”**. **23.00** Телесериал **“МАРШ ТУРЕЦКОГО-3. ОБОРОТЕНЬ”**. **00.00** “Вести+”. **00.35** Худ. фильм “**ДОКТОР ЖИВАГО**”. **04.10** “Дорожный патруль”. **04.25** Телесериал **“АНГЕЛЫ ЧАРЛИ”**.

НТВ

07.00 Утро на НТВ. **09.50 Сериал „ДРОНГО“. 11.00** Сегодня утром. **11.25** Путешествия натуралиста. **12.00** Квартирный вопрос: долой люстры! **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** „Сегодня“ **13.30** Ток-шоу „Страна советов“. **14.35 Детектив „СЕЗОН ОХОТЫ“. 5-я с. 15.50** Криминал. **16.35** „Чай против кофе!“ Ток-шоу „Принцип домино“. **18.25 Сериал „СКОРАЯ ПОМОЩЬ-3“ 19.25** „Национальная безопасность: последний вираж Автопрома“. Расследование НТВ. **20.35** Совершенно секретно. **21.40 Роберт Де Ниро, Жан Рено и Шон Бин в блокбастере „РОНИН“ 00.10** Супербокс: Феликс Тринидад против Йори Бой Кампаса. **00.45 Фильм Ральфа Синглтона „НОЧНАЯ СМЕНА“ (США). 02.30 Сериал „ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО“.**

EXHIBITION AND BUSINESS
MEETING INDIAN LEATHER PRODUCTS
AND SPORTS GOODS

გამოფენა და საქმიანი შეხვედრა
ინდური ტყავის ნაწარმი
და სპორტული საქონელი

the magic of indian leather
ინდური ტყავის მომხიბვლელობა

fashion for the world
მსოფლიოს სტილი

Hotel Sheraton Metechi
Palace
Tbilisi, Georgia

სასტუმრო "შეტეხი პალასი"
თბილისი, საქართველო

29 august, 2003
29 აგვისტო 2003
12:00-20:00 hours

Entrance Free
შესვლა უფასოა

THINKI LEATHER THINK INDIA
ᲘᲤᲘᲥᲠᲔ ᲢᲧᲐᲕᲖᲔ ᲒᲐᲐᲡᲐᲣᲗᲔᲡᲔ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

"რუსთავი 2 პრინტი" წარმოადგენთ ქართველი კლასიკოსის ოთარ ჭილაძის ახალ რომანს "გოდერძი", თანამედროვე ქართული მწერლობის კრებულს "დღეს", და ლიბერალური დემოკრატიის ნამდვილ სახელმძღვანელოს, ნიკოლოზ რურუას "თავისუფლების ანბანს". წიგნების შეძენა შეგიძლიათ ყველგან საქართველოში, სადაც კი წიგნი იყიდება.

იპოთხეთ ჩვენგან
გამოცემულია "ლიტერას"
ახალი წიგნები

დათო ტურაშვილის "გურჯა- ხათუნი და აკა მორჩილაძის "შელოცსუთბაშის თბილისი"

საიდუმლოებით მოცული ამბები, სასიყვარულო ისტორიები და ფათერაკებით თავგადასავლები ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.